

ბრძოლის
გაგაბა

1 9 3 1
15 აპრილი

საბრძოლო გაგაბა

საბრძოლო გაგაბა

საბრძოლო გაგაბა

საბრძოლო გაგაბა

პ ი ო ნ ე რ ი

პიონერების და მომავალთა სოციალისტური-ლიბერალური ჟურნალი.

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური ბიუროს და განათლების სახალხო კომისარიატის სოციალისტური აღზრდის მთავარმართველობის ჟურნალი—გაფშ-თათვის.

№ 7

15 აპრილი
1931

წელიწადი მე-6

რედაქციის მისამართი:
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 22,

სახელგამი,
საბავშვო საქმე

შინაარსი

- მინდორი გვეძახის.
- სოციალისტური შეჯიბრის გაშლისათვის პიონერ ორგანიზაციაში—გ. საათაშვილი.
- ამხანაგი ჰანსი—ბორის ჩხეიძე.
- წითელარმიის ქართული ნაწილების ათი წელი—ს. გ.—ია.
- სოფლის გულწითელები—გ. შატ-ბერაშვილი.
- სამუშაო ან პური—მორის ლებრენ.
- უცნობი კაცი საკვამლე მილზე.
- სიმღერა თესვაზე—შალვა შაველაშვილი.
- დვეუფლოთ ტენიკას.
- რკალეები უნდა გაირღვეს—კ. მელაძე.
- იბრძოლეთ პოლიტექნიზაციისათვის—თ. ნი.
- ჩვენი ბელადის მოწოდებაზე—პიონერი ავთანდილ კაშმაძე.
- ეს არის პოლიტექნიზმი?—ნ. კალმ.
- ცხოვრება საბავშვო საპრობილეში—ჰარი აიზმან.
- გავეზაფხულდა ძმებო—გ. კაჭახიძე.
- ორი შეკითხვა რედაქციას.
- ნარევი.
- ინგლისური ღორი ჩინეთში.



სარედაქციო კოლეგია: ს. აბულაძე
 კ. მელაძე
 შ. თაბუკაშვილი
 მახარაძე
 აღ. გველესიანი
 გ. საათაშვილი
 კ. შ. რედაქტორი: ს. აბულაძე.

იპიტხათ და გააკრულათ
ჟურნ. „პიონერი“

მინდორი გვეძახის



ბოლშევიკურად უეხვდეთ გაგაფხულის თესვას

ბოლშევიკური მეორე საგაგაფხულო თესვის კამპანიის ჩატარება წელს განსაკუთრებულ პირობებში გვიხდება.

კულაკები და მათი აგენტები ყოველმხრივ ეცდებიან ჩაგვიშალონ მეორე საგაგაფხულო თესვა.

კლასიური მტრები უკვე აფუხფუსდენ და სალაშქროდ ემზადებიან, რასაც მშრომელი მასების ენტუზიაზმის ფართოდ ვაზრდით უნდა ვუპასუხოთ.

კულაკურ პროვოკაციას ადგილებზე ახლავე უნდა მოვულოთ ბოლო. თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის დამკვირვლად უნდა გადავიქცეთ და ბოლშევიკური ტემპებით უნდა შევასრულოთ ის, რაც დავავალა პარტიამ და ხელისუფლებამ.

საჭიროა ვიცოდეთ: ვართ თუ არა მზად იმ დავალებების მთლიანად და დროზე შესრულებას უზრუნველსაყოფად, რომელიც საგაგაფხულო თესვის დარგში მოცემულია პარტიის და ხელისუფლების ზემდგომი ორგანოების მიერ.

მიმდინარე წელს ჩვენ უნდა დავთესოთ საქართველოში 759.499 ჰექტარი მიწა. ამ ამოცანის შესრულებაში ვაღამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თესვის გეგმის დაყვანას სოფლამდე, თითოეულ ინდივიდუალურ გლეხამდე, თითოეულ მეურნემდე. უნდა აღინიშნოს, რომ კოლექტიურ მეურნეობამდე სადღეისოდ გეგმა დაყვანილია მხოლოდ 49,9 პროცენტით, თითოეულ მეურნემდე კი მხოლოდ 68,2 პროცენტით.

აღნიშნული ციფრები მოწმობს, რომ გეგმის დაყვანა თითოეულ მეურნეობამდე ჯერ კიდევ არ არის შესრულებული. საჭიროა საბჭოთა ყველა ორგანოს ამოძრავება დასახული გეგმის ბოლშევიკურად შესრულებისათვის.

უნდა გავტყნოთ კლასობრივი მტრის წინააღმდეგობა. კულაკობის პროვოკაციას ბოლშევიკური იერიშებით უნდა ვუპასუხოთ.

პიონერთა წინაშე დღეს სოფლად მეტად საპასუხისმგებლო ამოცანები დგას. პიონერებმა პარტიასა და კომკავშირთან ერთად უნდა შესძლონ საგაგაფხულო თესვის კამპანიაში საბრძოლო ლოზუნგის შესრულება — „არცერთი მტკაველი მიწა დაუხნავ - დაუთესავი“.

პიონერებმა ადგილებზე უნდა გამოჰყონ დამკვირვლი ბრიგადები და რაზმები, რომლებმაც სოფლად მთელი რიგი მუშაობა უნდა ჩატარონ. პიონერები აქტიურად უნდა დაეხმარონ კოლმეურნეობებს გეგმის ბოლშევიკურად შესრულებისათვის.

ყოველ პიონერს უნდა ჰქონდეს საგაგაფხულო თესვის კამპანიაში დავალებანი. სამწუხაროდ, ბევრი სათანადოთ ვერ აფასებს პიონერთა მონაწილეობას საგაგაფხულო თესვის კამპანიაში.

კერძოდ, სიღნაღის რაიონში, სასოფლო საბჭოების ზოგი თავმჯდომარე ფიქრობს: რა პიონერების საქმეა თესვის კამპანია და ბრიგადები, მათი საქმე საყვირი და დოღის ბრახუნიაო. ასეთ ოპორტუნისტულ განწყობილებებს დროზე უნდა მოვულოთ ბოლო.

ასეთი მაგალითები ჩვენ არა ერთი და ორი მოგვეპოება მუშაობის პრაქტიკიდან.

პიონერებს საგაგაფხულო თესვის კამპანიაში ბევრი რაიმეს ვაკეთება შეუძლიათ, მაგალითად: სათესლე მასალის გაწმენდა, მოსახანავი ადგილების გასუფთავება, მასიურ მუშაობის მოწყობა, არხების გაწმენდა კომკავშირელებთან ერთად და სხვ.

თესვის კამპანიის დროს ჩვენი მიზანია არა მარტო ნათესი ფართობის გადიდება, არამედ მოსავლიანობის აწევაც.

ამისათვის პირველ რიგში უნდა მოვაგვაროთ აგროტექნიკური ლ-

ნისძიებათა გატარება; ასევე საჭიროა კოლმეურნეობის მიღწევების გამაგრება, კოლმეურნეობათა შინაორგანიზაციული საკითხების მოგვარება, შრომის დისციპლიანის განმტკიცება და სხვა.


ადგილებიდან მოსული ცნობებიდან ირკვევა, რომ კულაკები სოცავენ მუშა - საქონელს, ანიაგებენ სათესლე მასალას და საგაგაფხულო თესვის დარგში ცდილობენ არ შეასრულონ სასოფლო საბჭოების მიერ მოცემული მტკიცე დავალებები. ამოცანაა — კულაკობამ და შეძლებულმა მეურნეობებმა მთლიანად შეასრულონ საგაგაფხულო თესვის მტკიცე დავალებანი. ყოველგვარი ლმობიერება კულაკების მიმართ, სათანადო ზომების მიუღებლობა მათი თავზედობის და მანებლობის აღსაკვეთად შეფასებულ უნდა იქნას, როგორც მემარჯვენე ოპორტუნისტული გადახრა პრაქტიკაში და მასთან სისტემატიური და შეურიგებელი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ.

ამხ. პიონერებო! ვართ თუ არა მზად საგაგაფხულო თესვის კამპანიაში პრაქტიკულად მონაწილეობის მისაღებად?

მინდორი გვეძახის, გვიწვევს თესვისათვის. დაკვირთი ტემპებით ვაწარმოოთ მუშაობა!

ბოლშევიკური ენტუზიაზმით მოვკიდოთ საქმეს ხელი!

ვიბრძოდეთ ბოლშევიკური მეორე საგაგაფხულო თესვის კამპანიის ბოლშევიკურად ჩატარებისათვის!



ტრაქტორების კოლონა

582.



შრომის ახალ კომუნისტურ ფორმებში სოციალისტური შედეგები პიონერულ მუშაობაშიც მთავარ მეთოდად გადაიქცა.

ვერ ვნახავთ ვერც ერთ სკოლას, პიონერკოლექტივს, ბაზას, სადაც თითოეულმა პიონერმა არ იცოდეს ამის შესახებ და სადაც არ იყოს დადებული სოცხელშეკრულებები.

ყველა სოციალისტური ხელშეკრულებების მიზანია: გააუმჯობესოს მუშაობა და დაეხმაროს პარტიასა და ხელისუფლებას იმ ამოცანების შესრულებაში, რომელსაც იღებს მათ წინაშე აყენებს სოციალისტური მშენებლობის მიმდინარე პერიოდი. თითქმის ყველამ იცის, რისთვისაც ტარდება სოციალისტური შეჯიბრი. ამ შეკითხვაზე ყოველი შეგნებული მოწაფე, თითოეული პიონერი თამამად ვიპასუხებს, რომ სოცხელშეკრულების მიზანია დაეხმაროს სოციალისტურ მშენებლობის და ხუთწლიან გეგმის ოთხ წელიწადში შესრულებას.

კარგი, ეს სწორია, მაგრამ აბა ვიკითხოთ თუ როგორ უნდა შეეჯიბრონ ერთმანეთს, როგორ უნდა შეადგინონ სოცხელშეკრულება, როგორ უნდა აწარმოონ აღრიცხვა, როგორ უნდა მივიდეს ეს ხელშეკრულება თითოეულ რაზმთან, სკოლასთან, რგოლთან, და პიონერთან, რომ ნათელი იქნეს ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე კოლდებულებანი და შედეგები.

ამაზე სწორი პასუხის მოცემა გაუჭირდებათ. არ კმარა მარტო კარგი სურვილები, საჭიროა ვიცოდეთ ის საქმე, რომელსაც ვაკეთებთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ცარიელი წყლის ნაყვა გამოვა.

როგორ არ უნდა დაიდოს ხელშეკრულება

ჩვენს განკარგულებაში მრავალი ხელშეკრულებაა. ერთის შეხედვით ისინი ერთმანეთისაგან არ განირჩევიან, მაგრამ საქმარისია მათი გულმოდგინეთ წაკითხვა და ყურადღებით გადახედვა, რომ ნათელი გახდეს მათი ავკარგეანობა. ავიღოთ მაგალითად, ერთ-ერთი ხელშეკრულება, რომელიც ხელში მოგვიჩვენა და გავაჩიოთ.

ამხ. სტალინის სახელობის ნ-პ. ბაზა სდებს ამ ხელშეკრულებას.

ხელშეკრულების ვადაა სამი თვე—იანვარი, თებერვალი, მარტი.

ამხ. ორჯონიკიძის სახელობის ნ-პ. ბაზასთან ამხ. სტალინის სახელობის კოლექტივი კისრულობს ჩაატაროს შემდეგი მუშაობა:

1. ყოველმხრივ ხელი შეუწყობთ ჩვენს შეთად აყვანილ ჩარხანას საწ.-საფინანსო გეგმის შესრულებაში.
2. მოვაგვართ უტილნივდლეული რკინის ნატეხები.
3. ვიღებთ იალდებულებას, (დავეხმაროთ სოფლის — პიონერ ორგანიზაციას მუშაობაში. ვიქონიოთ მათთან მუდმივი მჭიდრო ცოცხალი კავშირი. ზაფხულში ბანაკობის დროს წავიყვანოთ მათგან 5 — პიონერი.
4. ყოველმხრივ ხელი შეუწყობთ სკოლაში ვაკეითების გაცდენას და ორწლიანობის ლიკვიდაციას და
5. ვაწარმოთ მუშაობა შეუკავშირებელ ბავშვებთან, რომ საქ. კომკავშირის მე-10 ყრილობისათვის ორჯერ გაიზარდოს ჩვენი ბაზა.

თავის მხრივ ამხ. ორჯონიკიძის სახელობის ბაზა კისრულობს შემდეგს:

1. გამოიწეროს და ყოველმხრივ ხელი შეუწყოს ჟურნალ „პიონერი“-ს და „ოქტომბრელი“-ს გავრცელებას.
2. ხელი შეუწყოს წ-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციას, აიყვანოს აღრიცხვაზე წ-კ. უცოდინარნი და შეასწავლოს მათ წერა-კითხვა.

3. მოეწყოს საშეფო სოფელში ბრიგადების გაგზავნა.

ამ ხელშეკრულებების წაკითხვისთანავე გრძობთ, რომ მას რაღაცა აკლია. მასში რკინის შეგროვებაც არის, ვაკეითების გაცდენასთან ბრძოლაც, აგრეთვე ბრიგადები. საწ.-საფინანსო გეგმაც, მაგრამ არ არის კონკრეტულობა, არ არის კონკრეტული ვალდებულება, არ არის ის საკონტროლო ციფრები, რომლის მიხედვითაც უნდა შემოწმდეს, თუ რა მუშაობა ჩაატარა ბაზამ ამა თუ იმ მიმართულებით.

რას ნიშნავს „ყოველმხრივ ხელი შეუწყობთ საწ.-საფ. გეგმის შესრულებას“, „მოვაგროვოთ რკინის ნატეხები“, „მჭიდრო კავშირი ვიქონიოთ სოფლის პ.-კოლექტივებთან“, გამოვიწეროთ და გავავრცელოთ ჟურ. „პიონერი“ და „ოქტომბრელი“, „ხელი შეუწყობთ წ-კ. უცოდინარობის, ვაკეითების გაცდენის და ორწლიანობის ლიკვიდაციას, „გავაგზავნოთ ბრიგადები სოფლად“, როგორ, რანაირად, რამდენი უნდა შეაგროვონ რკინა, რამდენს უნდა შეასწავლონ წერა-კითხვა, ანდა როგორ უნდა იქონიონ „მჭიდრო კავშირი“, რამდენი ცალი „პიონერი“ და „ოქტომბრელი“ უნდა გავრცელონ, აი რა კითხვები, წამოიჭრება თქვენს წინაშე წაკითხვისთანავე.

ვარა ასეთი სოცხელშეკრულება? თავისთავად ცხადია, არა.

იმისათვის, რომ ხელშეკრულებამ, სოციალისტურმა შეჯიბრმა, ნაყოფი გამოიღოს, საჭიროა გვახსოვდეს, რომ გეგმა ნათელი და გარკვეული უნდა იყოს. როდესაც ვიღებთ სოცხელშეკრულებას ამით ჩვენ ვასრულებთ საზოგადოებრივ სასარგებლო საქმეს და ვისახავთ ამოცანად უპირველეს ყოვლისა დავეხმაროთ სახელმწიფოს ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებაში. მხოლოდ მხრივ მიზნად ვისახავთ მუშაობის დროს აღვზარდოთ ჩვენგან მტკიცე ლენინელები, მომავალი სოციალისტური საზოგადოების მშენებლები და კომკავშირის ღირსეული შემცვლელნი.

როდესაც ვაგროვებთ რკინას, ვასწავლით წერა-კითხვას წ-კ. უცოდინარს. უნდა გვახსოვდეს, რომ ამით ჩვენ ვეხმარებით სახელმწიფოს მის მშენებლობაში.

თითოეულმა პიონერმა, მოწაფემ, უნდა იცოდეს თუ რას აკეთებს ან რა საჭიროებისათვის აგროვებს ქალაქის ნახევრებს, რკინას და სხვას. იცის ყველა პიონერმა თუ რისთვის მუშაობს ის? ჩვენდა სამწუხაროდ ეს ყველამ არ იცის, როდესაც შევეკითხვი ერთ-ერთ პიონერს თუ რას აკეთებენ ისინი კოლექტივში ამჟამად, მან სხვათა შორის მითხრა წ-კ. უცოდინარბა ჯგუფს ვამაცადინებთო.

შეკითხვაზე რისთვის ვაწარმოებთ ჩვენ წ-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციას, იგი დაიბნა და მიპასუხა, რომ ამას ახლა ყველგან ატარებენ და მათ ეს სოცხელშეკრულებაში აქვთ გათვალისწინებული. ასეთი მაგალითი ცოცხა არ არის.

არ კმარა მარტო ხელშეკრულების დაწერა, არამედ საჭიროა ხელშეკრულება რომელსაც ჩვენ ვიღებთ ვასაგები იყოს ბავშვებისათვის. ბავშვებმა უნდა იცოდნენ არა მარტო ის, თუ რას ვაკეთებთ, არამედ ისიც, თუ რისთვის ვაკეთებთ.

პიონერებს უნდა ახსოვდეთ, რომ, როდესაც ისინი ასწავლიან წერა-კითხვის უცოდინარს, ამით ისინი ებრძვიან უკულტურობას, ჩამორჩენილობას და აკეთებენ სოციალიზმის საქმეს.

როგორ უნდა შევეჯიბროთ ერთმანეთს, როგორ უნდა შევადგინოთ სოცხელშეკრულება, როგორ ვაწარმოთ აღრიცხვა და შრომის განაწილება, ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხებია, რომელსაც ჩვენ მორიგ წერილში შევეხებით.

ბ. საათაშვილი.

ბაღების პირად ფერად ფილაქნე-
ბზე დარბოდენ ვაზეთის დამტარებელ
ლი ბიჭები. მათ კარგად იცოდენ,
რომ ამერიკელი ბურჟუა ვათენებამ-
დე იღებს სახლში ვაზეთს. ამიტომ
დამტარებელს ვაზეთის გასასაღებ-
ლად სჭირდება სწორედ ის ცნობა,
რომელიც უმრავლესობას აინტერე-
სებს. ერთმა მაინც შეტად თავისუფ-
რი რამ გამოიგონა. ვაზეთის მეორე
ივერზე (სადაც ათასი სენსაცია და
ქრონიკებია) იყო მიწერილი:

„საბჭოთა კავშირში ფაბრიკა-ქა-
რხნები განიცდიან მუშა - ხელის სი-
ნჯივს, ანგარიშის გასწორება ლო-
ლარით, მსურველს შეუძლია ხელშე-
კრულება დასდოს „ამტორგ“-ში.


ცხადია ვაზეთი ერიდებოდა სა-
ქმას მთლიანი სურათის მიცემას,
მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა ბატარა
დამტარებელს ქრონიკიდან მთელი
სინამდვილე გაეგო, — რაც შეეძლო
გაჰყვაროდა ის:

„საბჭოთა კავშირში წარმოე-
ბანა განიცდიან მუშა - ხელის სი-
რეს. ხუთწლელი გარანტიას იძლე-
ვა, რომ არასოდეს უმუშეკარა არ
დარჩეს ანგარიშის გასწორება ლო-
ლარით! დაწერილებითი ცნობები
— იყოღეთ ვაზეთი! ღირს ხუთი
ცენტი!

ბაგშმა მოიგო.

ბაღის კუთხეებიდან წამოიშალა
ხალხი და მიაწყდა ბიჭს, ვანსი იდგა
უკან და გაზ. ვერ სწვდებოდა; ბუფა-
ლოში ეს ხუთიოდე თვეა დაიწყეს
რაციონალიზაცია, და ქარხნების
მეპატრონეებმა გამოაცხადეს, რომ
სრულებითაც არაა საჭირო გონებით
და ფიზიკურად საღი ადამიანები:
მანქანები და დაზგები შეუძლიათ
მართონ ყოველმა, მუნჯებმა, ცალ-
ფეხებმა, ბრძებმა, კუზიანებმა, დე-
გენერატებმა, კრეტინებმა და
ოთხმოცი წლის მოხუცებმა, რომელ-
თაც მხოლოდ ხელის განძრევა, ან
დაზგის შეხება თუ შეუძლიანთ.

მკლავ მაგარი, ფეხსწორი, გონება-
მახელი ვანსი დარჩა ქუჩაზე. ის
სტკეპნიდა ბუფალოს ქუჩებს და
ჰყვიდა. სანამ რამე გაჩნდა. ბო-



მატურის ელსადგური

ლოს ხალხის პატრონი მივიდა და
გამოუცხადა — ბინა დაცალი: ორი
თვის დავალიანება ჰქონდა. პოლი-
ციელს არ აინტერესებდა მისი გასა-
ქირი, ვანსს მარტო ბაღში შეეძლო
თავისუფლად ყოფნა, ისიც იმი-
ტომ, რომ ღამის დარაჯი მისი ნა-
თესავი იყო. უკვე ხუთი დღე იყო
მას ფული თვალთ აღარ ენახა და
ნაცნობმა დამტარებელმა ვაზეთი
მისცა შეტად ორიგინალურ ქინძის-
თავში.

ბევრი აღარ უფიქრია, გასწორდა
ტანში, ხელები დამუშტა და გას-
წია ქალაქის მეორე მხარისაკენ, სა-
დაც ეგულებოდა „ამტორგს“ აგე-
ნტი.

შენობასთან ხალხი ირეოდა.

— შამბი შენ აქა ხარ, ტყის ჯი-
ზო? — შესძახა მან ზანგს, შამბის,
რომელიც ღამობდა შენობაში შე-
სვლას.

— აქა ვარ — უბასუხა შამბიმ და
გაჩერდა ვანსის ზურგთან, ვანსი
ყვიროდა:

— გამიშვით, თორემ დაგამტე-
რვით, წყეულებო.

— აქ ყველას თანასწორად იღე-
ვენ. თქვენ მაგის უფლება მარტო
ამერიკულ დაწესებულებაში გაქვთ.

— სტყუი, შავო! — მიაყვირა ვან-
სმა და მუშტი ისე მაგრად ჩაჰკრა,
რომ ზანგი წაიქცა.

შამბიმ ისარგებლა. მიჰყვანა ვანსს
და შევიდნენ შენობაში.


— ეს რა აგენტია? — იფიქრა
ვანსმა — არც სმოკინგი, არც ვალს-
ტუკი...

ცოტა საუბარი, და ხელშეკრუ-
ლება დადებული იყო. შამბმაც მო-
აწერა ხელი.

ვანსმა პირველად ნახა თავის სი-
ცოცლოეში, რომ ზანგი და თეთრი
ერთნაირ ხელშეკრულებას აწერდნენ
ხელს. აირია. წამოიყინა, მაგრამ
„ამტორგ“-ში ჩხუბს ვერ ასტეხდა.

— აბა მომხდარიყო ასეთი შექმნ-
ივე? ბუფილის სხვა დაწესებულება-
ში, — ვანსი უჩვენებდა სეირს შამ-
ბის, მაგრად დატორავდა, მაგრამ აქ
ხელები შეეკრა. არა ერთხელ გაუ-
გონია, მას, რომ საბ. კავ. ფერად-კა-
ნიანი ხალხი რუსების უფლებით
სარგებლობს და იქ წასვლა თუ-
გინდ მით იყო საინტერესო, რომ ენა-
ხა ვანსს, როგორ ცხოვრობს ხალხი
ლენინის სასამართლოს გარეშე და,
ესეც არ იყო, მას დღეს ერთი ცენ-
ტიც არ ჰქონდა, არც ხვალისათვის
მოკლოდა საიდანძე და არც იმ წე-
ლიწაღში ჰქონდა სამუშაოს შოვნის
იმიდი.

— ამხანაგებო! ვანს და შამბი! რო
დისთვის შეგიძლიათ გამოცხადდეთ



ფოლადის ჩამომსხმელი სამქრო. მარცხენის
ღუმელების აგება

გემზე — შეეკითხა აგენტი.
ვანსს არ იამა: „რის ამხანაგო?“ —
იფიქრა მან.

— მისტერ! თქვენ შეგიძლიათ მე,
მისტერ ვანსს, ამერიკელ მოლაქეს,
მხოლოდ „მისტერ“ მიწოდოთ.

ვანსი გაბრუნდა.

დილას ვანსი და შამბი ისხდნენ მა-
ტარებელში და მიჰქროდნენ ნავთსა-
ღურისაკენ. შამბი ამაყად გამოიცი-
ქირებოდა, უხაროდა რალაც, გემზე,
რომელზედაც ფრიალებდა წითელი
ღროშა და ეხატა ნახვალი და ჩაქუჩი,
შამბი პირველი შევიდა, ვანსი სად-
ლაც მიატოვა.

ეს ყოველგვარი ამერიკულ ეთი-
კას ეწინააღმდეგებოდა: ზანგები
პირველათ თეთრკანიანებს უთმობენ
გზას. მაგრამ რას იზამს ვანსი, მას
ერთი ცენტრიც არ აქვს ჯიბეში.

აგერ გამოჩნდა ვილაც შეზღვაური
და გამოაცხადა მგზავრ მუშებს შეუ-
ძლიათ მიიღონ სამგზავრო ავანსები,
მხოლოდ ამისათვის საჭიროა რიგში
ჩადგომა.

თეთრკანიანებმა სცადეს რიგის
ცალკე მოწყობა. რუსი შეზღვაური
გაჯავრდა, შეიგინა და ამაყად დაიყ-
ვირა:

— ერთად დადექით, აქ ასეთი რამე
ბი არ შეიძლება!

ვანსი და სხვები დათანხმდნენ. რო-
დესაც ვანსმა ფული მიიღო, მისთვის
ყველაფერი სულერთი გახდა.

გემზე თეთრკანიანებმა აიგნის
ერთ კუთხეში მოიყარეს თავი. სასა-
დალოდაც ერთად მიდიოდნენ. ვანსს
არასოდეს არ ავიწყებებოდა მეტიჩა-

რა შაშხი, გულში ხელს ირტყავდა, იმუქრებოდა.

— მაცადე, შენ შავო ნადირო! — და გადაეყულებოდა მოაჯირზე.

ორი კვირა მისცურავდა გემი ოკეანეს ტალღებზე, გოლფსტრომში მიჰყვებოდა. ნელი. თბილი ქარი ქროდა თუმცა დეკემბერი იყო, გვარაანდ თბილოდა. ცაზე ერთხელაც არ გამოჩენილა ღრუბლები სანამ ბისკაის ყურეში არ შევიდნენ. ჰავრში წვიმდა. გემმა ნახშირი აიღო. დანიის კუნძულებთან სიციციემ იმატა. ბალტიას შიძიმე ღრუბლები ჩამოეფხატა სახეზე, და პალტოს მონახვა შეიქნა საჭირო. ფინეთის ყურესთან გემს დახვდა ყინულმჭრელი და რამოდენიმე საათის შემდეგ გამოჩნდა ლენინგრადი. ისინი ნელ - ნელა ჩამოიკრიფნენ. ზანგებმა აქ თავი მოიკეცა. აქლა ამათ ლარ ეშინოდათ თეთრ კანიალების და ყველამ ენაზე დაიკურა „ნისტერის“ შავიერ „ამხანაგო“.

— როდემდის გავრძელდება ასე? — ჯავრობდა ჰანსი და დადიოდა ჭაღის გრძელ ქუჩებში.

მშვენიერი სანახაობა, აგერ ათასი ჩინელი. ვილაც თეთრკანიანს სურთუკში გამოწყობილს, უნდა რიგში ჩადგომა. ჩინელმა მოსილო ხელი და გამოავლო. თეთრკანიანი წავიდა, ჩაღა რიგის ბოლოში და ჩინელს ერთი მუჭიერ არ აქამა. აგერ დემონსტრანტარაცია. სხედან ტრაქტორებზე და მოროხინობენ. ერთი ტრაქტორი გაჩერდა. მოფერმა უტრილა, უტრილა, მაგრამ ვერაფერი მოუხერხა. ჰანსი აენთო, გადახტა, მოავლო შოფერს ხელი და გადმოსვა ძირს. გამოსტაცა ხელსაწყო, მოაძრო რაღაც ხრახნი და მოუჭირა ქანჩი.

— აი ამხანაგო! — მიამხა და გამოზრუნდა. ჰანსი კომისარიატში მიიყვანეს. კომისარმა ის გაუშვა, როგორც უცხოელი.

ჰანსს ვერ მოეთმინა ერთი რამ, როგორ შეიძლება, რომ ტრაქტორისტმა ტრაქტორი ვერ მოაწყოს!

ამიტომ მოექცა ტრაქტორისტს ასე უდიერად. კომისარმა გაიცინა და აუხსნა: ის ტრაქტორისტი მოგამაგირე იყო და კარგად არ იცოდა ჯერ მანქანის მართვა.

ჰანსი გამალებით მოდიოდა. მან გაიხსენა იმდღევანდელი საქციელი და საშინელება აღმოაჩინა: წამოსცდა სიტყვა „ამხანაგო“. რად წამოსცდა? ნუთუ ის ნისტერ ჰანსი აღარ არის?

ვერც კი შენიშნა, როგორ შევიდა ლუდხანაში. თეთრად გამოწყობილმა ქალმა, ოქროსფერთმანამა, მოუტანა ლუდი. დააყირავა ბოთლი ჭიქაში, ხარბად დალია. გათბა. გადაწყვიტა შერიგებოდა სიტყვას „ამხანაგო“.

ჰანსი მუშაობს ქარხანაში. მას ბეგრი არ სჯობია, როგორც ხელოსანს.

ეგვიბრება მხოლოდ შაშხი. ის ასეთი გულმოდგინე არ იყო ბუფალოში და აქ. საბჭოთა კავშირში კი მზად იყო ზედმეტი საათები ემუშავა, თუ კი ნებას ვინმე მისცემდა. შაშხის მიზანრიგს რამდენიმე მუშა და სულ მოთხოვრებდა კვირაში შესანიშნავად ასწავლა მათ ხელობა. ამისათვის რაღაც ლითონის შეტონი მიიღო საჩუქრად და საერთო კრებაზე მადლობა გამოაცხადეს. შაშხის ამერიკიდან ცოლი და შვილი გამოაწერინეს. ყველაზე უფრო ჰანსს ის აჯავრებდა, რომ შაშხი პურს სჭამდა რუს ხელოსნებთან. რუსებს ეს არ სწყინდათ და, პირიქით, მეგობრულადაც ექცეოდნენ. ქარხანაში მთელი აურზაური ასტყდა ახალი დაზვის მომლაზე. ვერაგინ ვერ ააწყო. ჰანსმა შირეკმორეკა ხელოსნები და სულ ნახევარ საათში აამუშავა დაზვა. მუშებს ეს ძალიან გაუხარდათ, ჰანსს ხელი მოავლეს და მდარბიად თითო ლუდი გადაკრის. გახარებული შაშხი მოვარდა, გააგოს ლუდით ჭიქა, მივიდა ჰანსთან, მიუჭახუნა და მოემზადა დასალევად. ჰანსს თვალები დაუბნელდა. ვინ ვაბედა ეს! შაშხიმ? როგორ ვკადრა ამერიკის მოქალაქეს ზანგმა ასეთი რამ! ჰანსმა ჭიქა დაანარცხა იატაკზე, ერთი ნახტომი, ერთი მუშტი — და შაშხი ძირს ეგდო. ორჯერ გადაუარა ქუჩლიბით. შაშხის სისხლი სდიოდა. გაშმაგებული ჰანსი დააბატონირეს.

ქარხნის კლოუზში თავი მოიყარათ მუშებს. ბრალდებული ცხარობდა.

ჰანსს არაფერი ესმოდა. მოითხოვა სიტყვა.

— ამხანაგებო, რად ზანგებოლებო? შაშხი ზანგია და ზანგია ყოველთვის შეიძლება.

სასმართლოსათვის და მუშებისთვის ესლა უკვე ცხადი იყო, რომ ჰანსს ამერიკიდან მოჰყოლოდა ზანგების დევნის ჩვეულება. მას უყურებდა მრავალი ასეული მუშის მრისხანე თვალები. ჩაჯდა, მოეფარა მოაჯირს და ზღარბივით მოიხრუტა. მხოლოდ მაშინ გამოიჩრუტა. როდესაც სასმართლოს თავმჯდომარემ განაჩენი გამოაცხადა: ათის წლით საბჭოთა კავშირის დატოვება. მუშებმა ჰანსი როგორც გაძევებული შესვეს გემზე. გემმა დაიყვირა თითქოს თავში დაჰკრეს, აბორგადა, დარბოდა ბაქანზე. თებერვლის ქარი და ტალღები ირიოდნენ. მუშები ნაპირზე ძლიერს ჩანდნენ. მოეჩვენა, რომ მან სიტყვა „ამხანაგო“ დაჰკარგა, აღარც გული მიუწყვედა იქ, სადაც მას „ნისტერ“-ს ეძახდნენ. ვინ იცის, მოიფიქრა თუ არა მან ეს მოქმედება. აიწა და გადმოსტა. ჩაიძირა.

ნაპირიდან ჰანსს თვალს არ აშორებდა შაშხი. დაინახა შაშხი უკვე მისცურავდა, მოეშველენ კატერეებით. ამოიყვანეს. გემი შორს მიდიოდა; მიეფარა ჰორიზონტს, მუშებან დიდმა მიტინგმა ჰანსს მოხსნა ათის წლის გაძევება.

ამ დღიდან გახდა ის „ამხანაგო ჰანს“.

ბორის ჩხიძე



ბერლინი. პიონერები ესალმებიან მუშათა სავსეთაშორისო დახმარების საოლქო კონფერენციას



რუსული მონარქიის არმია გამტარებელი იყო მეფის იმპერიალისტური პოლიტიკისა და სისხლის მორევში ახრჩობდა მუშათა კლასის მოძრაობას.

მენშევიკების ნაციონალური გვარდია წარმოადგენდა ძალას, რომელიც ცეცხლითა და მახვილით უმასპინძლებოდა აჯანყებულ მუშებსა და გლეხებს. საკმარისია გავიხსენოთ დუშეთის, სამხრეთ-ოსეთის, ლეჩქუმის, აფხაზეთის, სამეგრელოს და გურიის „ამბები“.

წითელი არმია კი არის ჭეშმარიტი დამცველი მუშათა კლასისა, რომელიც სადღეისო ლოზუნგების პრინციპის მიხედვით ფართოდ შლის თავის მუშაობას საბჭოთა ქვეყნის თავდაცვისათვის. ჩვენი წითელი არმია უპირველეს ყოვლისა მშვიდობიანობისა და საბჭოთა მშენებლობის სიმბოლოა. იგი მედგარი დამცველია ოქტომბრის მონაპოვართა. წითელ არმიელს თოფთან ერთად უყვარს წიგნი, გაზეთი — იგი კულტურული მუშაკიც არის.

სოფლიდან ჩამოსული ახალგაზრდა გლეხებისათვის წითელი ყაზარმა ნამდვილი სკოლაა, სადაც იგი სამხედრო ცოდნასთან ერთად ლეხულობს პოლიტიკურსა და საერთოდ კულტურულ აღზრდას და შინ დაბრუნებული წითელარმიელი ერთგული მშენებელი ხდება სოციალიზმისა — იგი კულტურული მუშაკია და საერთოდ საზოგადო მოღვაწეა სოფლად.

დღეს, როცა საბჭოთა კავშირი მწიფდება პოლიტიკურად და ეკონომიურად, წითელი არმიის სიმტკიცესა და ბრძოლის უნარიანობის ზრდას მეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან იმპერიალისტური ქვეყნები კბილებს იღესავენ ჩვენი კავშირის წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ არავის ვებრძვიტ სხვისი მიწა-წყლის დასაპყრობად — ჩვენსასაც არავის დაუთმობთ.

ქართული წითელი არმია განუყრელი და განუყოფელი ნაწილია დიდი საბჭოთა კავშირის წითელ არმიისა. მან თავისი უფროსი ძმებისაგან ბევრი ისწავლა, როგორც სამხედრო ტექნიკური მომზადების საკითხებში, ისე პოლიტიკური და კულტურული აღზრდის საკითხებშიაც.

ქართული წითელი არმია თავისი არსებობის ათი წლის თავზე კიდევ უფრო შეამჭიდროვებს ფოლადისებურ რიგებს და დაუმტკიცებს ჩვენს მტრებს, რომ იგი ჭეშმარიტი შვილია ოქტომბრის რევოლიუციისა, რომ იგი ურყევი დამცველია პროლეტარიატის დიქტატურისა და ერთგული მშენებელია ახალი საზოგადოების, ახალი ცხოვრების — სოციალიზმის.

ს. გ—ია.


როცა ბიჭები თხებს ვარეკავდენ და მუხის ჩრდილში ხედებოდენ სამხარს, ვილაც ჩანთიდან იღებდა ჟურნალს და კითხულობდა სიტყვებს ხმამაღლა... გოგო-ბიჭებში სცვიოდა სიტყვა — მოგონებები ბელად ლენინის.

თუ სადმე კვნიცდა ხალხი ჩაგრული, მათთან ბელადი იდგა მცველივით... ო, რა ხალისი იტანდა ბავშებს, ხალისი გულზე ჩამოდვარული, მათთან ჩნდებოდა თითქოს ლენინი: სახე გახსნილი და მოხარული... წაიკითხავდენ ქალაქის ამბავს — როგორ ცხოვრობდენ პიონერები, ქუჩებში როგორ მოაქვს ბარაბანს ხმაური ლხენა და სიმღერები... ნატრობდენ:


ნეტავ იწყებდენ სირბილს სოფლად შინდისფერ ყელსახვევებით, აივსებოდენ გულწითელებით მივიწყებული სოფლის ხეხვები!.. უბრწყინდებოდათ თვალები ბავშებს, და მზე როდესაც იწყებდა დახრას, — ნახირს მირეკდენ ხმაურით სახლში და არა გრძნობდა სხეული დაღლას... სახლში შეჰქონდათ წრფელი ხალისი და ახარებდენ კეთილ მოხუცებს. უკვირდათ დიდებს: ლტოლვა ხვალისთვის როგორ აენთო ბალებში უცებ... აღარ ზარმაცობს მწყემსი თანდილა, ჟურნალ „პიონერს“ ატარებს ჩანთით, კითხულობს:

„მუშის მოვიდა დილა, გლეხის თვალეზში ლხენა ანთია“! კითხულობს, როცა მზე ვახელდება და დაეყრება ჩრდილში ნახირი. წყაროსთან ფიქრში ჩნდება ოცნება, ჩათვლით კითხულობს ფურცლებს დალილი... ლხენით გადავა ჩრდილში სამხარი და დაეშვება ცხუნება გვალვის, და ბიჭუნების სახე ნახირი მკითხველს არტყია ირგვლივ რკალივით... გული იხარის და იმოსება ხალისით, ლხენით, მზიან დარებით, სოფლის ბიჭებშიც ჩნდება ოცნება კომუნარული განცდის ტარების...

გ. შატბერაშვილი



კომკავშირელების სამხედრო მეცადინეობა



პიონერები თამაშობენ კადრაკს



დილის 10 საათია. ტიურბიგოზსა და რემიონის ქუჩების ჯვარედინზე იშლება მთელი სიგანით ვრცელი სურათი პარიზის მოძრაობისა. დროს განსაზღვრული მონაკვეთის შემდეგ გაისმის პოლისმენის სტვენა, რომელიც ანშობს ავტობუსების და ტრამვაის ხმაურს. მრავალძალიანი ავტომობილები არწევენ მაძლარ ბურჟუებს და მორთულ მანდილოსნებს.

სამონასტრო სკოლის უძველეს შენობასთან, რომელიც ქცეულია ხელოვნებისა და ხელოვნების კონსერვატორიად, მოთავსებულია ბარაკი, სადაც იძლევიან საქველმოქმედო წვნიან შეჭამადს. 400 მეტი მშვიერი უკვე საათზე მეტია, რაც ელოდება დარიგების დროს.

ვინ არის ეს ხალხი—პროფესიონალური მათხოვრები? არა, ესენი ახალგაზრდა უმუშევრებია. ზოგი მათგანი ჯერ კიდევ საკმაოდ სუფთად არის ჩაცმული. ყველა ესენი—ხალხია, რომელნიც შეუბრალებლად არიან გამოყრილი ქუჩებში კაპიტალისტური ზედმეტი დამზადების გამო და დაეძებენ სამუშაოს.

ცხრის ნახევრიდან ეწყობა რიგი. წვნიანი შეჭამანდის დარიგება 11 საათიდან იწყება. მე ვდგები რიგში, მსურს მოველაპარაკო ამხანაგებს, რომელნიც იძულებული არიან დადგენ ამ რიგებში.

— რარიგ მიძიმე აქამდე მოსვლა, ველაპარაკები ერთ-ერთ უმუშევარს. ახალგაზრდა მუშა ცხარეთ მიპასუხებს:

— ამხანაგო, ჩვენ არა ვართ ამისა-

თვის პასუხისმგებელი. ჩვენ გვირდა ვიშუაოთ, მაგრამ სამუშაო არ არის. დეკემბრიდან დავხეტებები... როგორღაც ამ ხნის განმავლობაში შევიწახე თავი, ახლა კი არაფერი არა მაქვს, არც ბინა, არც სამუშაო... ჩვენ არც მათხოვრები ვართ და არც უსაქმურნი. მაგრამ ხომ აუცილებელია მაინც როგორღაც ცხოვრება?

ჩემს უკან სდგას სასტუმროს მოსამსახურე. ისიც დიდი ხანია უსაქმოთ არის. ახლა ის უხსნის მეზობლებს კაპიტალისტური წარმოების შესახებ, ის მოუთხრობს საქონელზე, რომლითაც სავსეა ბაზარი, პურზე, რომლითაც ზოგიერთ ქვეყანაში ახურებენ ორთქლის მანქანების ქვაბებს, ყავიან ტომრებზე, რომლიცაც გადისვირიან ზღვაში, რათა შეინარჩუნონ ფასები მსოფლიო ბაზარზე და ის ამთავრებს სათმელით, რომელიც მშვენიერად ახასიათებს კაპიტალიზმის ანარქიას:

— ხედავ, საზოგადოება ისეა მოწყობილი, რომ მინების ჩამსმელები სავსებით კმაყოფილი იქნებოდნენ, თუ ხვალ აფეთქებით ამ უბნის სახლების ყველა მინა იქნებოდა ჩამსხვრეული.

უმუშევართა შორის გადივლის მღელვარება.

ისმის ხმები.

— ბოლო უნდა მოეღოს ამას.

— ჩვენ უმრავლესობა ვართ.

— საჭიროა თავისი თავის დაცვა. მოშორებით ახალგაზრდა მუშა საყოველთაო აჯანყების სრულიად უტოპიურ გეგმას იცავს.

აშკარაა, მისი სიტყვები ძალიან გულუბრყვილოა, მაგრამ ამ გულუბრყვილობაში გამოსჭვივის მუშათა კლასის ღრმა სისპეტაკე. ის წინადადებას იძლევა მოხდეს რევოლუტია არა იმისათვის, რომ დავუფლოთ მდიდრების საუნჯეს და მათ მსგავსად ქეიფსა და უსაქმობაში ვატაროთ დრო. მას სურს ერთი: ბური ყველასათვის საკმაო იყოს.

უნებლიედ, როცა მას ვუსმენ, კონტრასტით ვიწყებ ფიქრს გამყიდველ მინისტრებსა და ბანკირებსზე, რომელნიც ეშვებიან საზღაპრო სპეკულაციამდე, ყველა სამრეწველო და საფინანსო ვეშაპზე, რომელნიც წესწყობილების მეპატრონენი არიან.

ხალხის მეორე ჯგუფში საბჭოთა კავშირზე ლაპარაკობენ. ეს კალაპოტიდან ამოვარდნილი მუშები ენტუზიაზმით ლაპარაკობენ საბჭოთა ქვეყანაზე. ისინი ოცნებობენ, როგორც ბავშვები, საზღაპრო ქვეყანაზე, სადაც არ არის უმუშევრობა და სადაც პროლეტარები, აიღეს რა ხელისუფლება ხელში, აუმაჯობებენ შრომისა და ცხოვრების პირობებს. და აქვე ასოციაციით სარულიად ბუნებრივად, საუბარი გადდის კომპარტიასა და „იუმანიტ-“ზე.

11 საათია...


რიგი არაჩვეულებრივად გაიზარდა. რიგის ბოლო უხვევს შორის, რემიონის ქუჩაზე. იქ დგანან ახლები. მათ, ვინც შეეჩვია ამ რიგებს მშვენივრად იციან, რომ სულ უკან დგომას აზრი არა აქვს, ვინაიდან მათ არ შეხვდებათ წვნიანი შეჭამანდი.

ახლა ამ რიგში 700 კაცი ვართ, შეჭამანდს კი მხოლოდ 200 მიიღებს. აი, დაბოლოს შენობის კარი იღება. პატარა ჯგუფებით უშვებენ იქ უმუშევრებს.

მოდლოდინში, ვიდრე ჩემამდე მოაღწევდა რიგი, დავინტერესდი: როგორ და სად სძინავს უმუშევრებს? აშკარა ხდება, რომ ძილის საკითხი სამწუხაროთ ძნელი პრობლემაა. ირკვევა, რომ თუ უმუშევრები საღამოთი სჭამენ, მათ ესპობათ ღამით ძილის საშუალება. ერთი ამხანაგთაგანი მიხსნის, რომ შეჭამანდის მიღება საღამოს 7 სათზე იწყება, ღამის გასათევი კი 6 საათზე იხურება. უმუშევარმა უნდა აირჩიოს ორში ერთი— ან ძილი, ან საჭმელი.

მათ უხდებათ მშვიერი კუჭით დაწოლა, ან უძილო ღამის გატარება სტიალი სადგურის დარბაზში ან მიწისქვეშა კიბებზე.

— ისინი ამას განზრახ აწყობენ, — აღევლებით ლაპარაკობს ერთ-ერთი



ბაბის თესლს გზავნიან კომუნისტრებებში

ჩემი მეზობელი.—იმის გამო, რომ ეკონომია გააკეთონ იმ მცირე მოწყალებათზე, რომელსაც ჩვენ წამოგვიდებენ.

პირველის ნახევარზე შიგ ბარაკში ვართ.

4 მაგიდა დგას გასწვრივ, თითოეულ მაგიდასთან 10 კაცია, მაგრამ რადგანაც დღეს მოსამსახურეები განსაკუთრებით ჩქარობენ ყველას გაშვებას, უმუშევრები იძულებული არიან შევიწროვდნენ და თითოეულ მაგიდაზე 12 კაცია.

თითოეული ჩვენგანის წინ დგამენ თუნუქის დიდ თევზს, რომელიც სახსება ცხელი წყლით. მართალია, წყალი არც ისე ცხელია, რათა მოსადილეს დიდხანს არ მოუნდეს მაგი-

დასთან ჯდომა. ამ წყალში დაცურავს პურის კანის ნატეხები და ლობიოს რამდენიმე მარცვალი. „სადელი“ სწრაფათ მოაქვთ. გამოსვლისას ვაბრებთ თევზს და კოვზს, და „ქველმოქმედი“ მანდილოსანი აძლევს თითოეულ ჩვენთაგანს პურის ნაჭერს.

ცნობისმოყვარეობის გამო მე იგი ავწონე და 48 გრამი გამოვიდა.

მეორე დღეს ეუენ კანიენის ქუჩაზე წავიდი.

იქ ყოველ დღით უმუშევარ მამაკაცებს და დედაკაცებს აძლევენ ფინჯან ყავას და პურის ნაჭერს. უმუშევრებთან ერთად დავლიე ერთი ფინჯანი საეჭვო შავი სითხე, რომლის ერთადერთი ღირსება იმაში

მდგომარეობდა, რომ ის საკმაოდ ცხელი იყო.

შემდეგ ჩემთან რიგში მდგომ ამ ხანაგებთან ერთად წავიდი რეჟიმურის ქუჩაზე. მათ სურდათ კიდევ შიგვედრილიყვნენ წვნიანი შეჭამადის დარიგებაზე.

ჩვენ გადავჭვრიეთ მოედანი ბლანშ..

გასართობი დაწესებულებანი — „მულთ რუჟ“, „ჯოჯოხეთის ღუქანი“ და სხვა—ის იყო დაიკეტა.

აქ, გასულ ღამეს, კაპიტალისტებმა, აღვსილებმა კმაყოფილებით, რომელსაც მათ ანიჭებდნენ ფული, არა ერთი ათასი ფრანკი დახარჯეს...

მორის ლეზანე.

უცნობი კაცი საკვამლე მიღზე


1930 წლის 16 ნოემბერს იაპონიის ქალ. კავასაკში სართავი ფაბრიკის საკვამლე მილის თავზე შენიშნეს ადამიანი, რომელიც წითელ დროშას იქნევდა. ამავე ფაბრიკის მუშები ამ დროს გაფიცული იყვნენ. არავინ არ იცოდა, თუ ვინ იყო ეს კაცი, მისი ცნობა ქვევიდან შეუძლებელი იყო, რადგან მილის სიმაღლე 40 მეტრს უდრიდა.

ქვევით შეგროვდა ცნობისმოყვარე ხალხი და ნაწილი გაფიცული მუშებისა, რომლებსაც მილის თავზე მყოფმა უცნობმა შეატყობინა, რომ ის არის „გაფიცულთა მომხრე“ და მილიდან ქვევით არ ჩამოვა, სანამ ფაბრიკის მეპატრონენი არ დააკმაყოფილებენ მუშების მოთხოვნებს.

ფაბრიკის გამგეობამ გამოიძახა პოლიცია, რომლისგანაც მოითხოვდა უცნობი დაუყოვნებლივ ძირს ჩამოსულიყო; ამას პასუხად მოყვა უცნობის გადამწყვეტი უარი. პოლიცია დაემუქრა — დაგატუსაღებთ და ძალით ჩამოგიყვანთო, მაგრამ პოლიციის მუქარის განხორციელება არ მოხერხდა, რადგან უცნობმა განაცხადა: თუ პოლიცია მალე ამოსვლას დააპირებს, იმწამსვე ძირს გადმოვარდებიო.

იაპონიის კანონების მიხედვით, თვითმკვლელობისათვის ხელის შეწყობა მძიმე დანაშაულად ითვლება, და იმ შემთხვევაში, თუ უცნობი თავის მუქარას შეასრულებდა, პოლიციას გაასამართლებდნენ თვითმკვლელობის ხელის შეწყობისათვის. უცნობი ასე იმყოფებოდა მილის თავზე 21 ნოემბრამდე და არავინ არ იცოდა, თუ რით იკვებებოდა. 21 ნოემბერს ქ. ოკაიაიდან იაპონიის სატახტო ქალაქში ტოკიოში უნდა დაბრუნებულყო იმპერატორი. ადამის თანახმად, არცერთმა ქვეშევრდომმა არ უნდა შეხედოს იმპერატორს.

„მის უმაღლესობას“ იმ ქარხნის მილის მახლობლად უნდა გაეარა, რომელზედაც უცნობი იყო. პოლიციამ მიიღო ბრძანება — მიეღო ყოველგვარი საშუალება მილიდან ამ კაცის ჩამოსაყვანად, მაგრამ ყოველ-



თვის, როგორც კი რომელიმე პოლიციელი ეცდებოდა მალე ასვლას, უცნობი იმ წამსვე მოემზადებოდა მილის ნაპირიდან ძირს გადმოსვარდნათ. მაშინ პოლიციამ მიმართა ფაბრიკის გამგეობას და აიძულა მიეღო გაფიცულთა მოთხოვნები.

ამის შემდეგ ქვევით შეკრებილმა ხალხმა აცნობა მილის წვერზე მყოფ

სიმღერა თესვზე

მთებზე ამწვანდა ღვია...

მინდვრად სიმღერებს ვარხვით, გლეხები ოფლსა ღვრიან,

ვქველავთ დარდების ნახევს!.. ძარღვის დაჭიმვა ხდება,

ახლა ველზეა ომი: ყამირი იტეხება, —

შეტევა დაუდგომი!.. ველზე, დამკვრელო რაზმო,

გადავაშავოთ ხნული, ციფრები გაიზარდოს

ციფრები ხორც შესხმული!.. ტრაქტორს ამოსდის ორთქლი,

როცა გუფუნებს ყეფით; გაგაფხულია, მოქრის

გრილი ნიავის შეფი!.. თესვის დიადი საქმე

აბა, დამკვრელო რაზმო, როცა ოფლს მიწას ვაქცევთ,

მარჯვენაც მაშინ ვაზნობს!.. დღეს ხმები აგუფუნდა:

„არ დარჩეს მოუხენელი, პიონერების გუნდმაც

გადაირბინოს ველი“!.. ჯეჯილს დაარხვეს ქარი...

თავთავი გაიზრდება, შეტევისათვის ქანი,

შეტევისათვის გზნება!.. ბოლშევიკური სუნთქვით

გადავაშავოთ მიწა, სიძნელე ჯირკის თუ ქვის

ღერივით ამოიწვას!..

შალვა შაველაშვილი

უცნობ კაცს — მუშების მოთხოვნები მიღებულიაო.

გაზეთები ამ კაცს გაფიცვების გადასაწყვეტი „ახალი ტაქტიკის“ გამოგონებელს უწოდებენ. ნახატზე: უცნობი მუშა ფაბრიკის საკვამლე მილის თავზე. ფოტოგრაფია ახსნა-განმარტებასთან ერთად გადმოიგზავნა იაპონიიდან.

დროთ იმ ხალხს, რომელნიც ჩვენთან მოსვლას წითელი ხალხურით ცდილობენ. თუ დღეს მწვევად დგას მწერლობის სფეროში თანამგზავრობის პრობლემა, მით უფრო მწვევად დგება იგი კერძოდ, საბავშვო ლიტერატურაში. ჩვენ გარკვევით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საბავშვო მწერლობაში არ გვყავს ნამდვილი გულწრფელი თანამგზავრები (თუ არ მივიღებთ მხედველობაში ნ. ნაკაშიძეს, შ. მღვიმელს). არიან ძველი საბავშვო მწერლები, ისეთნი, რომელნიც ბარკიანის იმით დგანან, გვებრძვიან კლასობრივ მტერთან ერთად, კერძოდ, მწერალი ი. მამულაშვილი, რომელიც წარსულში რამოდენიმედ პოპულიარული იყო, დღეს კლასობრივი მტრის პოზიციებზე დგას და მისი შემოქმედება მანვე იდეოლოგიას წარმოადგენს.

ი. მამულაშვილმა ამ რამდენიმე წ. წინ სახელგანთხე მეშვიშობით (1927 წ.) გამოცემა დღევანდელი დროისა და სივრცის გარეშე მდგარი საბავშვო ლექსები და მოთხრობები, ი. მამულაშვილმა აღნიშნული წიგნით ერთხელ კიდევ შედგინა დაამტკიცა, რომ მას საერთო არა აქვს რა ნამდვილ ჯანსაღ საბავშვო მწერალთან. მისი მთელი შემოქმედება ზღაპარს და ობიექტულურ წყურყურს წარმოადგენს, რასაც ზიანის გარდა სხვა არაფრის მოტანა არ შეუძლია. მაგალითად, მამულაშვილი ერთ თავის ლექსში „პატარავ“ სწერს:

ნეტავი შენ, პატარავ,
გალაღებულა ყრმაო,
და ნეტავი იმისაც,
ვის გულიც აყვავია!
დილასავით წმინდა ხარ —
და აღსავსე სიცოცხლით,
შენი ერთი ბაისკობს
ცა უყვდავი სამოთხით“.

რა არის ეს? რას ნიშნავს „ცა უყვდავი სამოთხით“? ეს ხომ რელიგიური მოტივების შემოტანაა საბავშვო მწერლობაში, ან რა შუაშია პატარის შედარება დილასთან? ეგ სადაური პოეტური სერხისა! მამულაშვილი აქ არ ჩმრდება და განაგრძობს: „ყრმავ, მე განველე შენი დრო“.

ალერსიანი სიტობო,
უნდა ჩამოგეცალო
და ადგილი დავთმო.
იციან, იხარხარე,
ფართოდ გაშალე ფრთები,
ვიდრე ჩემებრ მოწყენით
ყრმობიდან გადადგები“.

აქ, როგორც ვხედავთ, მამულაშვილი რაღაც მოსთქვამს, ვიღაცაზე ბუზღუნებს და ჩივის. საინტერესოა ვიცოდეთ—აქ, პატარა ლექსშიაც მისი პოლიტიკური მსოფლმხედველობა ხომ არ ჩნას? მამულაშვილი აქ ნაციონალისტური ტენდენციებისაგან არ არის თავისუფალი, იგი ნაციონალიზმს სთესავს მოზარდ ახალგაზრდობაში და სწერს:

„მაგრამ წრეგანდელ გაზაფხულს
რა შეედრება, რომელი,
აუყვავილდა სამშობლოს
გულ-მკერდი მუდამ მშრომელი,
წელს იმის ყვავის შორის ეჭვრატ
ერთ ყვავილს სულ სხვანაირსა. —
სამშობლოს თავისუფლება
ჰქვია იმ ტურფა ყვავილსა“.

გამოდის, რომ მამულაშვილისათვის არაფერი არაა საინტერესო, გარდა სამშობლოს თავისუფლებისა. საქმე ის არის როგორც ეს მის მამულაშვილს სამშობლოს თავისუფლება? ცხადია, თავისებურად, ისე, რომ არავითარი საერთო არ აქვს ჩვენთან.

მამულაშვილი მზადაა აგრეთვე იქადაგოს დაცემულობის ფილისოფია და ხმამაღლა დაიწყოს:

მეც ოპოლი ბავშვი ვარ
და, თქვენსავით პირქუში,
გარე-გარე დავდივარ,
ვირც მე ვპოვე საფლავი
ჩემი ტუბილი მშობლისა
და დავხარჯე კრემლი მთლიად —
ნუ გემინი ოპოლი“.

„მემოდელიმის ღრუბლებო,
ნუ თუ ესა საბავშვო მწერლობის ნიმუშები, ნუთუ საფლავების საძებნელად უნდა მოვუწოდებდეთ ბავშვებს, ნუთუ ღრუბლებს უნდა შევსცქეროდეთ რომანტიკოსებით და მოვუყვებთ ქვეყანას იმ დროს, როდესაც ჩვენს ქვეყანაში ყოველი წუთი საჭიროა, მაგრამ ეს მამულაშვილის არ ეს-მის და არც უნდა ვაივოს. ასეთი მაგალითების მოყვანა მრავალად შეიძლება მამულაშვილის შემოქმედებიდან. ის რომ დაცემულობის მწერალია, ის რომ უცხო კლასის იდეოლოგიის წარმომადგენელია, ამას ამტკიცებს მისი ერთ-ერთი ლექსის შემდეგი კუბლიტებიც:

„მხოლოდ ობლადა, ძვილ საფლავთ შორის,
ახლად დაყრილსა სამარეს სძინავს
და მის ხის ჯვარზე მქნარი გვირგვინი
ნათელის მომგვრელად ბზინავს... სულ ბზინავს“

გვირგვინებით არ შეიქმნება კომუნისტური საბავშვო ლიტერატურა. ი. მამულაშვილი არაა მომავალი კლასის საბავშვო მწერალი, იგი წარმავალი, ისტორიის მიერ განწირული კლასის მწერალია.

თთქმის ასეთივე ხასის მწერალია ლადო გუმბაშვილი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მას მამულაშვილთან შედარებით აქვს ტენდენციები მარცხნივ გადაზრისა. ეს, ვფიქრობ, ძალიან ცოტაა. არ კმარა ერთი ან ორი თქმა სადმე, არამედ საჭიროა სისტემატური გულწრფელი მუშაობა. ლადო გუმბაშვილი ჯერ კიდევ შორს დგას დღევანდელი დღის ამოცანებისაგან. მან 1928 წელს გამოსცა „საბავშვო ლექსები“ (თუ შეიძლება მას საბავშვო ვუწოდოთ, კ. მ.), სადაც ერთ ლექსში შემდეგს სწერს:

„როგორც კოკარი ქორვა ვარდისა,
ჯერ ნორი ვარ, გაუფურჩუნელი (ლაპარაკობს მოწავი. კ.მ.).
მაგრამ სულ მალე დავგუჟავდები,
რომ გავარდვით წყვიდაი ბნელი“.

რომელ წყვიდაიზე ლაპარაკობს აქ გეგეკორი, ან რომელ გარდევანზე მოგვითხრობს ის? გეგეკორი აქ არ სვამს წერტილს და სწერს ლექსს ტარას შევჩენკოზე*), იმ ტარას შევჩენკოზე, რომელიც ნაციონალისტი იყო და ამბობდა: „როდესაც მოვკვდები, დამმარხებ საფლავში, ფართოდ დეპრთან, საყვარელ ურჩინაში“, ლადო გეგეკორი კი უძღვნის ლექსს ამ ნაციონალისტს და ამბობს:

„ენახე საფლავი, ზედ ია
და ვარდი ამოსულყო
იქ ახლოს ნარი ჭკნებოდა,
ეკალი დაჩაგრულიყო.
„მგოსანი, შენი მოძღვრება
და სიტყვა შენგან თქმული,
ღრმად ჩასწვდა ქუთ-ვონებს
და აგვიტერა გულიო.
ერს დაუბა ტკივილი

შენმა სიმღერამ ტუბილამო,
გამოცოცხლებას, შრომასა
თავი დაუტრა ძილბამო.
მარადისობა შენს სახელს,
უყვდავ ძველს გიდაგამს ერთი,
გულში ჩაიჭედეს შენს სხოვნას,
შენითვე ბედნიერიო“.

*) ტარას შევჩენკო უკრაინელი მწერალი იყო.

ამონაწერი ძალზე გავავიგრძელდა, მაგრამ ვფიქრობ, ეგ საჭირო იყო იმდენად, რამდენადაც ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმას, რომ დღევანდელ არსებულ საბავშვო ლიტერატურაში ნაციონალიზმის წარის ხმა მედგრად განისმის.

აღნიშნული ლექსი ერთხელ კიდევ ამტკიცებს ფაქტს, რომ ქართველ საბავშვო მწერლებს ვერ შეუღწიათ, თუ სად სცხოვრობენ ისინი. ლ. გეგეკორი მზადაა ნაციონალისტურად უმღეროს ნაციონალისტ მწერალს, ვიდრე უმღეროს ჩვენს დღევანდელ დღეს. როგორც ვხედავთ, საბავშვო ლიტერატურაში ჯერ კიდევ მძლავრადაა ნაციონალისტური ტენდენციები, ჩვენს მორიგ ამოცანას კი წარმოადგენს ზრძოლა ამ ნაციონალისტური ტენდენციების წინააღმდეგ, საბავშვო მწერლობაშიც.

არის მთელი რიგი მწერლებისა, რომელნიც ცდილობენ მუშაობას თანამედროვე ლიტერატურაზე, მაგრამ ისინი არ განიცდიან ორგანიზულ მას, რასაც ჩვენ ვაკეთებთ. კერძოდ მწერალი ქალი მარიაჯანი ცდილობს სოციალური მნიშვნელობის თემებზე მუშაობას, მაგრამ მისი ლექსები ხასიათდება უზოგად, ზერეულ და ყალბი პათოსით, ობიექტული განხრები და სხვა.

მარიაჯანს კიდევ დიდი მუშაობა მართება, რომ დააღწიოს თავი ობიექტულურ წყურყურს და ყალბ პათოსს.

მაგრამ, ჩვენ გვყავს აგრეთვე მთელი რიგი საბავშვო მწერლები, რომელნიც თავისი პრაქტიკული მხატვრული შემოქმედებით გულწრფელად ცდილობენ ჩვენთან მოსვლას. ისეთ ძველ საბავშვო მწერალში, როგორც შიო მღვიმელმა, დიდი გარდატეხა მოხდა ამ ბოლო ხანებში, შიო მღვიმელმა სცადა დღევანდელი დღის თემატკაცა მუშაობა, რაც მან ნაწილობრივ დასძლია*). აუცილებლად აღსანიშნავია საბავშვო ლიტერატურაში ნინო ნაკაშიძის მუშაობა, ნინო ნაკაშიძემ საბავშვო ლიტერატურაში შექმნა თავისი გზა, გზა ბავშვებთან დაახლოებისა. მის შემოქმედებაშიც ხდება ამ ბოლო დროს გარდატეხა, მაგრამ ეს გარდატეხა ჯერ არ დამთავრებულა. საერთოდ კი ნინო ნაკაშიძე აუცილებლად მეტად მნიშვნელოვანი ფიგურაა საბავშვო მწერლობაში. ჩვენ წერილის დასაწყისში ვლაპარაკობდით იმის შესახებ, რომ ნამდვილი კომუნისტური საბავშვო მწერლები პროლეტარულმა მწერლებმა უნდა შექმნან. პროლეტარული მწერლების მუშაობა ამ მიმართულებით უნდა გაძლიერდეს. დღეს ჩვენ არა გვაქვს ნამდვილი კომუნისტური საბავშვო მწერლობა.

დღეს ჩვენ არ გვინდა სიმღერა წარსულზე, არ გვინდა ნაციონალისტურად სიმღერა სამშობლოზე, არ გვინდა სიმღერა ტყეებსა და გაზაფხულზე, არამედ გვინდა სიმღერა პოლმეცეკურ გაზაფხულზე, სიმღერა სოციალისტურ მშენებლობაზე.

ამს. მწერლებო, მოგვეცით დღევანდელი სოციალისტური მშენებლობის პროცესები მხატვრულ ტილოებზე. მივცეთ ბავშვებს კლასობრივად გამართულ ნაწერები. ვიბრძოლოთ კომუნისტური საბავშვო წიგნისათვის და შევექმნათ ჯანსაღი საბავშვო ლიტერატურა!

დროა გაირდვს ძველი რკალები, — ამის საჭიროება დღეს პრაქტიკულად დგას.

*) შიო მღვიმელის შესახებ უახლოეს ხანში გვექნება სპეციალური წერილი. კ. მ.

● მ. მ. თ. ხ. ნ. ა. შ. ბ. ა. რ. ი. ●

თითოეული ტრაქტორი — პოლიტიკური ზმის შესახებ

„პოლიტიკაში, გავლენიანი, რო-
გორც განსაკუთრებული საგანი, მკვიდარი
პოლიტიკაშია, ცოცხალი კი არის დაკავ-
შირებული წარმოებისათვის და საზოგადოე-
ბრივ-სასარგებლო შრომისათვის. დღეს მთე-
ლი ცხოვრება მიისწრაფის იქით, რომ ეს
ცოცხალი პოლიტიკა იქნეს ცხოვრება-
ში „გაბარებული“.— ასე ამბობდა ნ. კრუპ-
სკაია, რაც უნდა გვანახოდა პოლიტიკა-
ტური განათლების გზების გამოძებნის
თაობაზე.

პოლიტიკაში არ არის ცალკე მეცნიე-
რება, არამედ ის შეიცავს ყველა საგანს:
ფიზიკას, ქიმიას, მატემატიკას და საზოგად-
ობრივ მეცნიერებასაც. არ უნდა იყოს
არცერთი ისეთი საგანი, რომელიც ბავშვებს
ბელს არ შეუწყობს თანამედროვე სამანქა-
ო შრომის და ტექნიკის შესწავლაში.

ამიტომ ის უნდა ასწავლონ ბავშვებს,
რომ ყველა მონაწილეობდეს საქარმო
შრომაში, რადგან საწარმოო შრომა პო-
ლიტიკაში საფუძველია.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ყველა
შრომა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს
პოლიტიკური განათლების საფუძველად.
წარმოი, ანდვიდულია გლეხური მეურ-
ნეობის შრომა, სადაც არ არის მანქანები.
მერ ასწავლის მას, რის მოცემა და სწავლე-
ვაც მსხვერპლს წარმოებას, ფაბრიკა-ქარხანას,
პარკინსტო წარმოებას და საბჭოთა მეურ-
ნეობას შეუძლია.

მაგრამ რა ქნან იმ სკოლებმა, რომელნიც
საბჭოთა დამოუკიდებელი არიან მსხვილი წარ-
მოებისად და გარემოებებში არიან რიგი
ფიზიკური ხელოვნების არტელური მეურნეო-
ბები?

იი რას ამბობს ამის შესახებ ლენინი:
„საჭიროა პოლიტიკური განათლებაც
საჭიროა გვინდა, ან უფრო სწორად გა-
ოყენებულ იქნას პოლიტიკური განათ-
ლების განმასხვრელებელი მთელი რიგი
ელმისაწვდომი საშუალებანი, როგორც:
ა) ახლო მდებარე ელექტრო-სადგურების
დათვალიერება, მთელი რიგი ლექციების,
კლბების მოწყობა და შესაძლებელ პრაქტი-
ულ მუშაობათა მოწყობაც, რომელიც შე-
ძლებულია ელექტრომასთან; მანძილზე უნ-
და დაეუწყაოთ დეტალური პროგრამა, პი-
ვერელ დათვალიერებასთან დაკავშირებით,
-10 ლექციისაგან შემდგარი, რომ ერთი-
ორი თვე სამუშაოდ გამოგადგეს:

ბ) აგრეთვე უნდა დათვალიერდეს თი-
ოეული გვირგნალ დაყენებული საბჭოთა
მეურნეობა და ქარხანა.

გ) მობილიზაცია უნდა ექნას ლექციების
დასაკითხავად ელექტრობის შესწავლაში პო-
ლიტიკური განათლებისთვის, პრაქტი-
ული შეცადინებისათვის ყველა: ინჟინე-
რებს, აგრონომებს, უნივერსიტეტის ფიზი-
ურ-მათემატიკური ფაკულტეტის კურსდა-
თავრებულთ ამ საქმეში გამოსაყენებლად.

დ) საჭიროა პოლიტიკური განათლე-
ის ხელის შეწყობი პატარა მუზეუმების
მოწყობა“ და სხვ.

ამას სწერდა ლენინი 1920 წელს, ჩვენი
მეურნეობის უსასტიკესი რღვევის პერიო-
ში, დღეს კი სულ სხვა მდგომარეობა
ვაქვს, ტრაქტორი უკვე აღარ არის სოფ-
ლის უცხო სტუმარი და სწორედ თითოეუ-
ლი ტრაქტორი პოლიტიკაში თვალსაჩი-
ო სასწავლო წიგნს წარმოადგენს.

თითოეული მოწყობილი და აგრონომ- ები

— რა უნდა ქნან იმ ბავშვებმა, რომელნიც
ისეთ ჩამორჩენილ სოფლებში ცხოვრობენ,
სადაც ვერც კიდევ არ არის სათანადო და-
ნეზე დაყენებული საკოლმეურნეო შრომა?

პირველ ადგილს აქ სასოფლო-სამეურნეო
შრომა იჭერს.

სკოლებისათვის შემოადარგული ნაკვე-
თების და ბავშვთა სასოფლო-სამეურნეო
კოლექტივების გზით სკოლა უნდა ჩაებას
სოფლის მეურნეობის წარმოებაში და გააუ
უმჯობესოს ის.

ამ პირობებში სკოლების აგრონომიზაცია
იქნება უმნიშვნელოვანესი რგოლი პოლი-
ტიკური განათლების დარგში. სკოლაში
ბავშვებს უნდა ასწავლონ მიწაზე მუშაობა
არა სათითაოდ და მამაპაპურად, არამედ
მანქანებით და არტელური წესით, სკოლა
უნდა იყოს პირველი მანქანების მატარე-
ო სასოფ.-სამ. იარაღების შეყენების დარ-
გში და თითოეულ მოწყვეს უნდა შეეძლოს
საღების, ცელის, ტრაქტორის და სხვების
შესაფერი შეყენება და გამოყენება.

პირველი საფეხურის უფროსი ჯგუფის
მოსწავლეებს შეუძლიათ გარჩევა და მართ-
ვა მარტივი მანქანების, ექსტრისის მოწყ-
ობა უახლოეს საბჭოთა მეურნეობაში, სა-
დაც არის ტრაქტორი, საღებო და სხვა მრე-
ვალი მანქანა, და აგრეთვე კარგად მოწყო-
ბილი ფარები, სანებე, ჯიშინი სანებე-
ები და სხვა, რაც მისცემს მათ საუკეთესო
პრაქტიკას.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ
სკოლისთან არსებულ სახელოსნოებსაც შე-
უძლია ემსახუროს პოლიტიკური განათ-
ლების საქმის გაფართოებას. მუშაობა ხეზე,
ლითონზე, მოწყობა აეროპლანის, ტრაქ-
ტორის, ავტომობილის, დინამო-მანქანის მო-
ფილების და სხვა.

მრავალს—მეცნიერს მოსწავლეებს ტექ-
ნიკური ინტერესების წრეში და ხელს შეუ-
წყობს მათ პოლიტიკური მომზადებას.

პოლმეურნეობიდან—პრაქტიკაზე სა ამპრობაში

გაცილებით ადვილია პოლიტიკაში
განხორციელება კოლმეურნეობის სკოლაში.
კოლმეურნეობაში მანქანები არ არის იშ-
ვიათი და შრომაც იქ სხვაგვარია, ვიდრე
წვირლ გლეხურ მეურნეობაში. კოლმეურ-
ნეობრივი შრომა უნდა იყოს საფუძველი
პოლიტიკური განათლებისა. ამის გამო
ბავშვის შრომის ორგანიზაცია კოლმეურნე-
ობაში უდიდესი მნიშვნელობის საკითხია.

კოლმეურნეთა ბავშვებს სწავლება სკო-
ლის კედლებიდან უნდა გადადიოდეს შემ-
კეთებელ სახელოსნოში, სამერქეოში, ფა-
რებში, მეურნეობაში, საცდელ ვეღ-
სადაც სკოლის მასწავლებელი მარტო არ
არის. მას ემარებიან ტრაქტორისტი და
აგრონომი, და ესენი ყველა ახალი მასწავ-
ლებელი არიან.

კოლმეურნეობაში ადვილია სწავლების
საწარმოო შრომისთან დაკავშირება. კოლ-
მეურნეობა მჭიდროდ არის დაკავშირებუ-
ლი ქალაქთან. მასზე შეფობას ეწევა რომე-
ლიმე ქარხანა, შეფები—კოლმეურნეთა
ხშირი სტუმრები, ქარხნიდან ხშირად ჩა-
მოდიან მუშაობა ბრიგადებიც. და ეს შლის
ფართო შესაძლებლობებს ბავშვებს დასა-
კავშირებლად ინდუსტრიასთან, საფაბრიკო-
საქარხნო წარმოებასთან.

ფაბრიკა-შევი, ფაბრიკა-ქარხნის შეი-
წვლელი და ფაბრიკის ბიონერები მულამ
შხად არიან გაულონ სამაქროების კარები
სამეფო კოლმეურნეთა ბავშვებს.

კოლმეურნეთა ბავშვებს შეუძლიათ თაბ-
რიკაში მისვლა არა მარტო როგორც ექსტუ-
რსანტებს, არამედ სამუშაოდაც, რომ საჭი-
რო ხანი დარჩენ ინდუსტრიულ წარმოე-
ბით პრაქტიკაზე.

აი ეს იქნება ნამდვილი ცოცხალი პოლი-
ტიკაში.

კოლმეურნეობის სკოლის მოსწავლეებს
შეუძლიათ და უნდა ჩაატარონ მუშაობა
არა მარტო სამაქროებში, არამედ უნდა ის-
წავლონ იმავე წარმოების ტექნიკის ინჟე-
ნერების ხელმძღვანელობით. მხოლოდ მა-
შინ შესაძლებენ ისინი ქალაქისა და სოფ-
ლის კავშირის მნიშვნელობის გაგებას, რა-
საც ხშირად წიგნებში ვერ ვებულობენ.
მანქანების ხმაურობა, რომელიც ფაბრიკის
ცხოვრებას ახალისებს, პროლეტარიატის
ორგანიზაციულობა—ცხადად დაანახებენ
მათ მუშათა კლასის ხელმძღვანელობით
როლის მნიშვნელობას.

კოლმეურნეობათა ბავშვები აქ შეისწავ-
ლიან აგრეთვე ახალი სოციალისტური ყო-
ფა-ცხოვრების ჩანასახებს და მის განვითა-
რებას და ამგვარად ქალაქში ნახულს და
გავებულს ყოველივე კარგს წაიღებენ კოლ-
მეურნეობებში საბრძოლველად.

ასე მოისპობა სოციალისტური ქალაქისა
და სოფელს შორის წარსულის მიერ
დაფუძნებული საუკუნეობრივი წინააღმდე-
გობა.

თ—51.

ჩვენი ბელადის

მოწოდებაზე

ჩვენი ბელადის მოწოდებაზე
შევაძვიდროვით ყველამ რიგები,
ვიპყრობთ ტენიკას, ვიპყრობ ტე-
ხნიკას,

ვიპყრობთ ტექნიკას ბოლშევიკები.
მიჭირს ექსტრისი და მიგვაქანებს
ახალ ცხოვრებით, ახალი ფიქრით,
და გზა ტრაქტორებს, და გზა მანქა-
ნებს

ბოლშევიკური ტენიკის წინსვლით.
ჩვენ ვინ გავასწრებტს რკინის რაინ-
დებს,

ბოლშევიკურსა ტემსში დამკრე-
ლებს,

მაღე მსოფლიოც ამბავს გაიგებს,
რომ ჩვენ ტენიკის ციხეს განვაგებთ.
დროა, რომ დაწოდის ჩვენი მარჯვე-
ნი

მეცნიერების ციხე-სიმაგრეს,
დროა, რომ გავხდეთ ჩვენ ინჟინერი,
ამიტომ გვმართებს მეტი სიმარდე.

ეს მიწოდება მოგვცა სტალინმა,
დე, შესაყოლოს ჩვენმა რიგებმა,
უნდა დავიპყროთ მძლავრი ტენიკა,
უნდა დავიპყროთ ბოლშევიკებმა.

ბიონერი: ავთანდილ კაშმაძე.

პიონერმა ლიჩაზინმა არ იცის...

მეჩვიდმეტე სკოლა ზამოსკოვრე-ცის რაიონისა.

დასვენება. ბავშვები ხარხარით გამოვლიან კლასებიდან. ვაჩერებ პირველსავე პიონერს:

— თქვენი სკოლა პოლიტიკაშია ციაქმნილია?

პო-ლი-ტი... რა სიტყვით? — ხელმოვრედ მეკითხება იგი.

— პოლიტიკაშია ციაქმნილია?

— არ ვიცი.

— რა გვარი ხარ? გუნდის ნომერი?

ლიჩაზინი, პიონერი მე-165 გუნდისა, — ყოჩაღად მიპასუხებს იგი.

დამტკიცებულია სამწუხარო ფაქტი: მოსკოვის სკოლის მოწაფეს პირველად ესმის სიტყვა „პოლიტიკაში“.

მაგრამ შეიძლება მთელი სიმწარე ჩვენი გამოკვლევისა თავს დავატეხოთ სკოლის ადმინისტრაციას, პედაგოგებს, რომელთაც ვერ შესძ-

ლეს თუნდაც ეამბნათ მოწაფეებისათვის, თუ რა არის პოლიტიკაში.

მაგონდება ერთი ამბავი: როდესაც წარმოებებში პირველად იშლებოდა სოციალისტური შეჯგობრი, მე მომინდა მისვლა ყაზანის რკინის გზის სახელოსნოებში. ყაზანის რკინის გზა ეჯგობრება ჩრდილოეთის რკინის გზას, გაზეთები სწერენ მთელ გროვა წერილებს „მასების შემოქმედებით ენტუზიაზმზე“, რკინის გზის მუშების პირობების შედგენაში მონაწილეობაზე, სოცშეჯგობრებებზე და სხვ. და, აი, უცნოვ — შერცხვენა: ჩემს მიერ სახელოსნოში დაკითხულმა ვერც ერთმა მუშამ ვერ მიპასუხა ვერცერთ საკითხზე სოცშეჯგობრების მსვლელობის შესახებ.

— მიდით უფროსებთან, იქ ყოველივეს გეტყვიან, სად და როგორ არის. კანტორაში იციან... ჩვენ კი არაფერი არ ვიცით...

ამ არცოდნაში უმთავრესად დამნაშავე იყო პროფორგანიზაცია, რომელმაც ცუდათ ჩაატარა ახსნითი

კამპანია და საკითხი სასწრაფოდ ჩაახშო ქალაქებსა და კანცელარიაში.

ვათრევთ ქალაქებს, ვღებულობთ ტელეფონოგრაფებს

ძალიან ბევრი სკოლა მიმაგრებულა სტამბებთან.

რას აკეთებენ იქ ბავშვები?

— ჩვენი სკოლა მიმაგრებულია მე-7 სტამბაზე, — მოგვითხრობენ საშოვნის რაიონის მე-9 სკოლის ბავშვები. — როდესაც პირველად გავგზავნეს სტამბაში, ძალიან გვინაროდა, ვფიქრობდით, რომ იქ ვისწავლიდით აწყობას და ბეჭდვას, ნამდვილად კი აღმოჩნდა რომ ვათრევთ ქალაქებს, ვგვით სტამბას და ყველას ვუშლით. მუშები აღმაცერად გვიცქერიან, ბუზღუნებენ, ჩვენი კი არაფერში დამნაშავენი არა ვართ. ჩვენ გვინდა ვიმუშაოთ, მაგრამ არ გვიშვებენ. თუ ამას ჰქვიან პოლიტიკაში, ეს ჩვენ სრულიად არ მოგვწონს. — ჩვენთან პოლიტიკაშია ციაქმნილია ერთხელ ტარდება, — ლაპარაკობენ მე-23 სკოლის მოწაფეები, — დანარჩენ დღეებში ჩვეულებრივი ზეპირი სკოლა გვაქვს. დეკადაში ერთხელ ეწყობა შაბათობა და თითოეულ ჯგუფს ეძლევა რაიმე დავალება: ერთნი მიდიან სტამბაში, მეორენი — ელსადგურში, მესამენი კიდევ სხვაგან. გამოდის ჩვეულებრივი ექსკურსია, და არა მუშაობაში მონაწილეობის მიღება. საერთოდ ამ წარმოებებში ისე გვიყურებენ, როგორც ექსკურსანტებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ სკოლაში სრული დაბნეულობაა გამეფებული. პედაგოგები სხედან, ავსებულნი განსასკოპის დადგენილებებით და ცირკულარებით, უურნალებით „ტექნიკა ბავშვებს“, მაგრამ პრაქტიკულად როგორ უნდა სკოლაში პოლიტიკაშია ციაქმნილია ჩატარება, — ეს ძალიან ცოტამ იცის.

ზნირად, როდესაც უშუალოდ უნდა გადახვიდე პოლიტიკაში, ნამდვილი სისულელე გამოდის: წითელი პრესნის რაიონის ერთ-ერთი სკოლის მოწაფეები დაანაწილეს ჯგუფებად და გაგზავნეს რაისაბკოს სექციებში ტელეფონოგრაფების მისაღებად, პაქეტების დასატარებლად, ერთი სიტყვით, დამტარებელის მოვალეობის შემსრულებლად.

მარწყვის მუშაობა

წითელი პრესნის რაიონის მე-73 სკოლა მიმაგრებულია ფაბრიკა „ბოლშევიკ“-ზე.

ბავშვები სიამოვნებით დადიან ფაბრიკაში; ფაბრიკა ამაღლებს კონფეტებს და ნამცხვარს, წარმოება საინ-



წინ, დამკვეთი ტემპებით — საგაზაფხულად თევზისათვის

ტერესოა, იქ მშვენიერი სუნია და, რაც მთავარია, არაფერი არ უნდა აკეთო, მხოლოდ უცქირე. თვეა, რაც დადიან ბავშვები საამქროებში, ცნობისმოყვარე თვალებით უცქერიან მუშებს, დაზგებს, მუშებს კი უკვირთ:

— მოსუხშირეს ჩვენთან ექსკურსანტებმა.

ვერავინ ვერ მისვდა, რომ ეს ბავშვები მიმაგრებული არიან ფაბრიკაზე და, პოლიტექნიკის ამოცანების მიხედვით, სკოლა უნდა შეიქნეს ფაბრიკის ერთ - ერთ სამუშაო საამქროდ, დაუკავშირდეს მას, მოამზადოს კადრები წარმოებისთვის.

ჰკითხეთ მე-7მ სკოლის მოწაფეს: „როგორი შუაგული აქვს კანფეტს? თითოეული გეტყვისთ ენის მოსმით: — მარწყვის მურაბა.

შეეცადეთ ჰკითხოთ სახელწოდება დაზგების, ჰკითხოთ ფაბრიკის სამრეწველინგეგმაზე, მუშათა რიცხვზე — თქვენ გიბასუხებენ მხრების აწევიტ:

არ ვიცით, წარმოდგენა არა გვაქვს.

სკოლასთან არის სახელოსნოები, მაგრამ აღმინისტრაციის დაუდევრობის გამო ეს სახელოსნოები დღემდე არ არის მოწყობილი და ბავშვები უსაქმოდ დაეხეტებიან.

ქარხნების ზეპირი

ნამდვილად პოლიტექნიკაცია ტარდება პროლეტარის რაიონის ზოგერთ სკოლაში. აქ, „დინამო“-ს, „ამო“-ს, „პარსტროი“-ს და სხვა ბუმბერაზების გვერდით სკოლებში ნამდვილი პოლიტექნიკა იზრდება. ზეპირი აბლაუბდა არქივს ჩაბარდა. ჩვენი დროის გმირი დაზგაა. ამ გმირის გარჩევაზე მუშობს მე-28 სკოლა. ის შეიღია „ამო“-სი. აქ სწავლობენ ამოველების უმრავლესობის ბავშვები, და სკოლა ქარხნის „უმაღლე სი მფარველობის“ ქვეშ არის. ქარხნის თითოეული საამქრო - სკოლის უდიდესი ლაბორატორიაა, სადაც ბავშვები ატარებენ პრაქტიკულ მეცადინეობას.

გაკვეთილებს შუა, დასვენების დროს, ხმამაღალი ლაპარაკია.

აქ ლაპარაკი სპეციალურია: — ზონტიკოვმა გასტეხა ერთი ნივთი და, რომ არ შეემჩნათ, წყალში ჩაავლო, შემცვლელი კი ამ დროს წაესწრო.

— სოსკინს გაცდენებისათვის მოუსხებს დამკვრელის სახელწოდება. გაიგე?

— ავტოგუნდი ხვალ შეტევას აწყობს, ბავშვებო, წავიდეთ მეთაურთან, რომ ჩვენც წაგვიყვანონ...

დღითი - დღე იზრდება სკოლის კავშირი ქარხანასთან. ბავშვები გაკვეთილებზე ამუშავებენ ქარხნის სამრეწველო - საფინანსო გეგმას, ცნობიან ტექნოლოგიას დაზგებთან, შველიან მამებს გარდევების ლიკვიდაციაში, სთავაზობენ გამცდენებს ცილის დროშას, ერთი სიტყვით, აქტიურ მონაწილეობას იღებენ ქარხნის ცხოვრებაში.

მე-28 სკოლას არ ჩამორჩება მეშვიდეც. სკოლის ყველა მოწაფე დანაწილებულია საწარმოო ჯგუფებად და თითოეული ჯგუფი მუშაობს სკოლის ერთ - ერთ სახელოსნოში: საზეინკლოში, სადურგლოში, სახარატოში ან ასაკინძავეში.

მას შემდეგ, რაც ჩვენი სკოლა პოლიტექნიკაქმნილია, თავს ახალ ადამიანებად ვგრძნობთ, — ლაპარაკობენ ბავშვები. — თითოეული ჩვენგანს აქვს სპეციალობა, თითოეული ცდილობს იყოს კარგი მწარმოებელი.

ზვიანკოვის სახელობის ფაბრიკაზე მიმაგრებულია აგრეთვე რადმაჩეკაც — განთქმული სკოლა, რომელიც ცნობილია მით, რომ მან პირველად ჩაატარა სკოლაში პოლიტექნიკაცია.


რამდენადაც შორს ვართ ფაბრიკასა და ქარხანაზე, იმდენად უფრო ცუდადაა და აბნეულია პოლიტექნიკაციის საქმე.

ვინ არის ამაში დამნაშავე. — ქარხნები, ფაბრიკები, მასწავლებლები? უპირველესად ყოვლისა კი, ჩვენ თვითონ ვართ დამნაშავენი.

ჩვენ უნდა დავრაწმოთ მშობლების, პროფორგანიზაციების და კომკავშირის ყურადღება ამ საქმისათვის, დავრაწმოთ მთელი საზოგადოებრივობის ყურადღება. ჩვენ უნდა მოვიტხოვოთ, რომ სკოლებში ჩატარდეს ახსნა - განმარტება პოლიტექნიკაციის ამოცანებზე, რომ თითოეულმა მოწაფემ იცოდეს, რა არის პოლიტექნიკაცია და რისთვის ტარდება ის. ყოველი ჩვენგანი უნდა დაეუფლოს წარმოების პროცესების საიდუმლოებას.

ჩვენ გამოვაცხადეთ ბრძოლა სკოლების პოლიტექნიკაციისთვის, ჩვენ უნდა გამოვიდეთ გამარჯვებულნი...

ნ. კალმე.



ბაქოს პროლეტარიატმა ენერჯიული, ბოლშევიკური ტემპებით შესრულა ნავთის ამოღების ხუთწლედო — 2 ნახევარ წელიწადში.
ბატონ. ნაშოსაძაჩი ქარხანა

მე ისე ბევრი მაქვს განცდილი, რომ საჭიროა ამ ცხოვრების აღწერა, მაგრამ არ ვიცი, როგორ და რით დავიწყო.

შესაძლოა ბლომად დაგროვდეს ისეთი რამ, რის შესახებაც შეიძლება დაწერა ამხანაგებთან და სახლთან დაშორების შემდეგ, მით უმეტეს, რომ საბავშვო საპრობილემო სუთმეტ თვეზე მეტი გავატარე.

საპრობილემო მე ვიყავი ერთადერთი პოლიტიკტიმარი, დანარჩენები კი ყოველგვარი დამნაშავენი იყვნენ. ეს ბავშვები საპრობილემო იმის გამო მოხვდნენ, რომ იპარავდნენ, გარბოდნენ სახლებიდან, სკოლებიდან და სხვ. ბავშვთა უმრავლესობა არანორმალურია. ისინი არიან მსხვერპლნი კაპიტალიზმისა, რომელმაც მოუსპო მათ აუცილებელი აღზრდა ბაღიდან და სკოლიდან. ესაა მიზეზი მრავალი ათასი ბავშვის ამერიკის საპრობილემო მომწყვედვისა.

და აი ასეთ ბავშვებთან უნდა გამეტარებია სუთმეტი თვე. ეს ხანი ამორიცხულია ჩემი ყრმობიდან კაპიტალიზმის სასარგებლოდ. ასე მოხდა იმის გამო, რომ მე რევოლუციონერი ვარ.

ჩემთან საკანში მყოფი ამხანაგების 98 პროც. მუშათა კლასის წრეში დაიბადა და აღიზარდა.

მე გადავწყვიტე მომელაპარაკნა მათთან, ვინც გამოიჩინდა ინტერესს ჩემი აგიტაციისადმი და შეეძლო მიმხრობოდა ჩვენს მოძრაობას.

მე დიდი მიღწევები შექონდა. კუთხეებში, სადაც არც ისე ადვილად შეიძლებოდა ჩვენი მოძებნა, იკრიბებოდნენ პატიმრები, რომ მოესმინათ ჩემი თხრობა ლენინის მოძღვრებაზე. ისინი კითხვებით ამავსებდნენ ხოლმე. არ გასულა დიდი დრო, და მე თავის არაოფიციალურ ბელადად მიმიჩინეს. თუ რაიმე მოხდებოდა, ან თუ საჭირო იყო რაიმეს გამორკვევა, ბავშვები რჩევისათვის მე მომმართავდნენ. თუმცა მე, დაპატიმრებული და ამხანაგებს მოშორებული, მოწყენილი ვიყავი, თავს მაინც ბედნიერად ვგრძნობდი, ვინაიდან ხელახლად მოვხვდი ბრძოლის ველზე.

ფაქტიურად ბავშვები ასრულებდნენ ყველაფერს, რასაც მათ ვთხოვდით. სამი მეოთხედი კომუნისტური ლიტერატურისა, რომელიც იქ წავიკითხე, ჩუმად შემოიტანეს მათ, მიუხედავად იმისა, რომ ამისათვის სასტიკი სასჯელი მოელოდათ, თუ კი რომელიმე მათგანი ხელში ჩაუვარდებოდა.

ბოდათ. როდესაც ადმინისტრაციამ გაიგო, რომ მე საპრობილემო ვმუშაობდი, დანიშნა სპეციალური მცველები ჩემზე თვალყურის სადევნებლად.

მიუხედავად მცველთა ფხიზელი თვალისა, მე შევძელი ბევრი წიგნისა და ბროშურის ჩუმად გადაცემა.

როცა მარტო ვიყავი, შემეძლო წერა. ზაფხულობით ჯერ კიდევ დღის სინათლეზე ვწვებოდი დასაძინებლად, 8 საათზე. 8 საათიდან 9 საათამდე ვწერდი და ვკითხულობდი საპირფარეოში, რომელიც საერთო საძინებელში იყო. 9 საათზე ღამის დარაჯი მომართავდა ხოლმე საათს, რომ დაენახა ყველა იყო ადგილზე თუ არა. მაგრამ როგორც კი წავიდოდა დარაჯი, ვიკავებდი ჩემს ადგილს საპირფარეოში და განვაგრძობდი ღამის ათ საათამდე მუშაობას. რასაც საპრობილემო ვწერდი, ნახვის დღეებში გადავცემდი ხოლმე; ნახვა ნებადართული იყო 6 კვირაში ერთხელ. მთელი ლიტერატურა ჩემთან კონტრბანდად შემოქონდათ ბავშვებს. ლიტერატურას ამხანაგები სტოვებდნენ დანიშნულ ნაგვის ყუთში, რომელიმე ხის ქვეშ ან ბუჩქნარში. დანარჩენს კი ბავშვები აკეთებდნენ.

საპრობილემო წავიკითხე წიგნები: „კომუნისტური მანიფესტი“, „იმპერიალიზმი“, „სახელმწიფო და რევოლუცია“ ლენინის ბიოგრაფია და მრავალი სხვა. არა ერთხელ ვცადე მეწერა დღიური, მაგრამ ყოველთვის მართმევდნენ.

საპრობილემო არასოდეს არ მიმიღია არავითარი ფოსტა, მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღიურად მეგზავნიდოდა ბევრი წერილი. ნამდვილი მეგობრები იქ არ მყავდნენ, კავშირი არ მქონდა გაბმული, ექვს კვირაში ერთხელ იყო ნახვის დღე, და ამგვარი ცხოვრება ინტერესს მოკლებულად მეჩვენებოდა. მიუხედავად ამისა, სულთ არ ვეცემოდი და ვიყავი დარწმუნებული იმაში, რომ ჩვენი ორგანიზაცია გამანთავისუფლებდა. ასეთი განწყობილებით ვატარებდი საპრობილემო ჩემი განთავისუფლების კამპანიას და ამასთანავე ერთად პიონერთა სხვა კამპანიებს. სიმართლე უნდა ითქვას, ხანდახან თავს ძალიან ცუდად ვგრძნობდა, მაგრამ საპრობილემო ყოფნის დროს არასოდეს არ გამომიშლავდნენ ჩემი შინაგანი გაცდები. მე ყოველთვის ვიცინოდი და ვცდილობდი ბედნიერი ვყოფილიყავი. ვიყავი თუ არა ბედნიერი? ეს კითხვა ამოცანად რჩება.

როგორც რევოლუციონერი, მეც საკვირველია, ვიცოდი, რომ ბედნიერი ვიყავი და თანაც ვამაყობდი, რომ საპრობილემო ვიჯექი, როგორც პიროვნება (ინდივიდუმი), ყოველთვის ვიმედოვნებდი, რომ ჩემს განთავისუფლებას მოვესწრებოდი.

ერთხელ ყოველივეზე შევეუთანხმდი ორგანიზაციას: დანიშნა ჩემი განთავისუფლების დამე და საათი.

მაგრამ მსოფლიო მუშებისა და ბავშვების მასიურმა პროტესტმა დაუსწრო ჩემს გაქცევას; სუთმეტ ნოემბერს მთავრობა იძულებული შეიქნა ერთხელ კიდევ გაეღო საპრობილის კარი და გავენთავისუფლებინე. მათ გამანთავისუფლეს იმ პირობით, რომ ორი წლით დამეტოვებინა ამერიკა.

ოდესმე, არ ვიცი კი როდის, დაბრუნდები ამერიკაში და ხელახლად დავიწყებ ბრძოლას კაპიტალიზმის წინააღმდეგ. მაშინ, როდესაც შევდგამ ფეხს გემზე და გავემგზავრები უკან, ისევე წინანდელი ჰარი აიზმანი ვიქნები, ჩემი იდეური ხელმძღვანელების და შთაგონებლების — მარქსისა და ლენინის — მოძღვრების მცოდნე.

გაუმარჯოს ბრძოლას ამერიკის ბურჟუაზიის წინააღმდეგ!

გაუმარჯოს ამერიკის ნორჩ პიონერებს! ჰარი აიზმან.

გაგვიზაფხულდა ქვემო

გაგვიზაფხულდა, ძმებო დავდგეთ სუყველა ფეხზე, დროა გავიდეთ ხენაში, დროა გავიდეთ ველზე! ჩვენ ვაზაფხულის მზე ვართ, ჩვენც ვაზაფხულმა გვშობა. გვიყვარს სწავლა და სწავლა, ვიცით გმირული შრომა. პიონერებო, მამ, წინ, — მომე არტელებს მხარში! ჩვენ შეგვიძლია იმათ მხნედ დავებმართო ხენაში. არტელი დგება ფეხზე, იბრძვის კაცი და ქალი. ისე ხვავი აქვს შრომას. კულაჟს უდგება თვალი. დ ჩვენც, ბიჭებო, ჩქარა, — მომე არტელებს მხარში! გადავუბრინოთ მინდვრებს რკინის გუთნების მარშით. არტელი იბრძვის, შრომობს, არტელი ძალას ეძებს. კაცი, ქალი და ბავში — სულ გამოსულა ველზე. უნდათ — მოხსული მიწა იმგვარად მოამზადონ, რომ წიგ ჩათესოლ მარცვალს მქონდეს ულცი საზრდო. გაგვიზაფხულდა, ძმებო, დავდგეთ სულ ყველა ფეხზე. დროა გავიდეთ ხენაში, დროა გავიდეთ ველზე!

ბ. კაპანინი.

* ეს წერილი დაწერილია ჰარი აიზმანის მიერ სპეციალურად ქურნალ „პიონერი“-სათვის.

ჩვენი ჟურნალის რედაქციაში სხვა მრავალ საინტერესო საკითხთა შორის ორი შეკითხვა შემოვიდა. პირველის ავტორი კითხულობს:

— რა ევალემა ჟურნალ „პიონერს“ ხუთწლიდის, მესამე წელს, ან რა ამოცანები ღვას მის წინაშე?

ამ საკითხზე რედაქციის თანამშრომელთა შორის დიდი კამათი და შეხება-შემოხლა გამოიწვია. „პიონერის“ რედაქტორმა სასწრაფო სწლომა მოიწვია, სადაც ყოველ ამხანაგს სიტყვა წესრიგის მიხედვით მიეცა.

— „პიონერი“ უნდა იბრძოდეს ახალი ადამიანის შექმნისათვის. იმ ახალი ადამიანისათვის, რომლის ოჯახი კოლექტივია და რომელიც ყველაფერზე მაღლა საზოგადოების ინტერესებს აყენებს. „პიონერმა“ უნდა შექმნას ადამიანის სამაგალითო ტიპი, რომლის მიხედვითაც აღიზრდება ყოველი ბავშვი, — გამოსთქვა ამხ. ვარლამმა თავისი აზრი. — სრულიადაც არა, ეგ არ არის „პიონერის“ მოვალეობა ხუთწლიდის მესამე წელს; „პიონერმა“ უნდა აღზარდოს საზოგადოებრივი მუშაკების ახალი კადრები, სოციალური მოწოდების მონაწილენი. მან უნდა ასწავლოს ჩვენს ბავშვებს სწრაფად არჩევა იმ ფრონტისა, სადაც ისინი უფრო საჭირონი არიან, — უპასუხა ვარლამს ამხ. კარლომ.

— მე კი ვფიქრობ, რომ „პიონერმა“ უნდა აწარმოოს ბრძოლა ძველი ყოფა-ცხოვრების წინააღმდეგ. რაც ხელს გვიშლის სოციალიზმის მშენებლობის საქმეში; მან უნდა ამენოს ახალი ყოფა-ცხოვრება. „პიონერმა“ უნდა გააშუქოს კლასიური მტრის ნამდვილი სახე, გამოამყდნოს ის და საკადროსი პასუხიც გასცეს, — დინჯად სთქვა ამხ. სარამი.

— მე არცერთი ამ მოკამათე ამხანაგის აზრი არ მაკმაყოფილებს; მე ვფიქრობ, „პიონერის“ ცალია ვაჟუფართოვოს ტონებრივი ჰორიზონტი ბავშვებს, უჩვენოს — რა ხდება ჩვენს გარემოში, გააცნოს მათ მთელი ქვეყანა, ეს ყველაზე უფრო ევალემა „პიონერს“ ხუთწლიდის მესამე წელს, — დაუმატა თავის მხრივ ამხ. ირაკლიმ.

— ჰმ! თქვენ ამჯარად გავიწყდებათ ხელოვნების მნიშვნელობა. ჰოდა „პიონერსაც“ ევალემა გვასწავლოს ხელოვნების მაღალი ფორმები, — განაცხადა ამ კამათის დროს იქვე კედელთან ატუხულმა ახალგაზრდამ, რომელსაც ხელში საკუთარი ლექსი ეჭირა, რედაქციაში გასარჩევად მოტანილი.

— ოჰო, პოეტების ახალი კადრი, გაუღიმეს ამხანაგებმა, — მართალს

ამბობს, მხოლოდ მართა ამით არ განისაზღვრება „პიონერის“ მოვალეობა ხუთწლიდის მესამე წელს.

— ჰო, რასაკვირველია, არა, ეგ მხოლოდ ერთ-ერთი ამოცანა უნდა იყოს „პიონერისათვის“ — დაუმატა „პოეტმა“.

— აი, ამხანაგო მოკამათებო, — დაასკვნა ამხანაგმა რედაქტორმა, — ასეთივე ერთ-ერთი მოვალეობა იყო თქვენი სიტყვებიც „პიონერისათვის“ ხუთწლიდის მესამე წელს. ყველა თქვენგანი მართალი იყო. „პიონერის“ მთავარი ამოცანაა — ბრძოლა ახალი ადამიანისათვის. ახალი ადამიანი დაბადება მხოლოდ ძველთან ბრძოლაში; სოციალიზმის მშენებლობის დროს.

ამ საქმეს შესძლებს „პიონერი“, თუ ჩვენი მკითხველები და ბავშვობებიც ენერგიულად დაგვეხმარებიან.

ამხ. ბურღულის წერილი

ჩვენმა სტომამ და კამათმა ისე დიდხანს გასტანა, რომ მეორე შეკითხვაზე პასუხის გაცემა ვეღარ მოვასწარი. ამ შეკითხვას თქვენ გიგზავნი, ამხანაგო მკითხველებო, იქნებ თქვენ მოგცეთ პასუხი.

შეკითხვის ავტორი პიონერი ბურღული გვწერს:

— მე ვსწავლობ საფეიქრო ფაბრიკასთან არსებულ საქარხნო-საფაბრიკო შვიდწლიდში. ვსწავლობ ბეჯითად, მაგრამ მაინც კმაყოფილი არა ვარ, რადგან, მასწავლებლების თქმით ამ შვიდწლიდის დამთავრების შემდეგ ჩვენ უნდა გადავიდეთ საქარხნო-საფაბრიკო სკოლაში, საიდანაც ფეიქრები გამოვალთ. ეს სპეციალობა სრულიად არ მომწონს, მე მიინდა ვიყო ინჟინერი, ელექტროტექნიკოსი ან ამწყობი. ეს ხომ ყველა სპეციალობაზე ეჭირება ჩვენს ქვეყანას. მე ძალიან მაინტერესებს ელექტრობის საქმე. ვკითხულობ წიგნებს ამ თემაზე, ხშირად ვესაუბრები ელსადგურის მუშებს და ამწყობებს, ჟურნალ - გაზეთებიდან ვჭრი ყველაფერს, რაც ელექტრობას შეეხება და ვაწებებ ჩემს ბლოკნოტში. მილი-

დი სურვილი მაქვს ვისწავლო და ვივხმარო ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის საქმეს.

ჩემი ამხანაგი ნარიძე მეუბნება; რა საჭიროა ახლავე ვიფიქროთ ჩვენს მომავალ სპეციალობაზე, ამაზე ვიფიქროთ შვიდწლიდის დამთავრების შემდეგ, როცა გვეცოდინება მთელი წარმოება, მაშინ შეგვიძლია ავირჩიოთ დარგები, ზოგმა საექიმო, ზოგმა საფეიქრო, საინჟინერო, პედაგოგიური და სხვაო.

— საიდან იცი, — მეუბნება ამხანაგი ნარიძე, — რომ, როცა შენ საქ-საფ. შვიდწლიდს დაამთავრებ ჩვენი ქვეყნას კიდევ ინჟინრები დაჭირდება, იქნებ მაშინ უფრო ექიმები დაგვჭირდეს, მაშინ ხომ საექიმოზე უნდა წახვიდე? ამიტომ არაა საჭირო ახლავე ვემზადოთ რომელიმე სპეციალობისათვის და მხოლოდ იმის შესაფერი საგნები ვისწავლოთ. ჩვენი შვიდწლიდი გვაძლევს იმ ცოდნას, რომელიც საჭიროა ყველა სპეციალობისათვის, ამიტომ ვისწავლოთ და პროფესია შემდეგ ავირჩიოთ.


ჩემის აზრით, ამხანაგი ნარიძე მართალი არ არის: რადგანაც მე ელექტრობა მომწონს, რატომ არ შემიძლია ახლავე ვემზადო ამ დარგის ინჟინრობისათვის? რატომ არ უნდა ვეტანებოდე მხოლოდ და მხოლოდ ამ სპეციალობისათვის საჭირო საგნებს? რად მინდა, რად მჭირდება ლიტერატურა, საზოგადოებათმეცნიერება, პოლიტიკური ეკონომია და სხვა ჰუმანიტარული საგნები? ამ საგნებს ხომ არაფითარი კავშირი არა აქვთ ჩემს მომავალ სპეციალობასთან!

გთხოვთ მიპასუხოთ: ავირჩიო თუ არა ახლავე პროფესია და ვისწავლო თუ არა ამ პროფესიისათვის გამოუსადეგარი საგნები?

პიონერი თინა ბურღული.

მკითხველნო, გვიპასუხეთ — ვინ არის მართალი: ბურღული თუ ნარიძე?

რედაქცია.



როგორია შავი ზღვისა და კასპიის ზღვის დონე?

მეცნიერები სისტემატიურად იკვლევენ შავი და კასპიის ზღვების დონის სიმაღლეს, და ირკვევა, რომ კასპიის ზღვა გაცილებით უფრო დაბლაა, ვიდრე შავი და შესაძლოა, რომ იყოს ამ ზღვების შორის არსის გათხრა, შავი ზღვის წყალი კასპიის ზღვისკენ გაეშურებოდა და დაფარავდა კასპიის ზღვის ახლომახლო მდებარე ადგილებს, მაგ. ქ. ბაქოს.

რამდენად ღილია დედამიწა?

დედამიწის დიამეტრი პოლიუსიდან პოლიუსამდე 12715 კილომეტრს უდრის. მიწის ზედაპირი ეკვატორთან ცოტა ამოწნეკილია, რის გამოც დედამიწის განივა იქ 48 კილომეტრით უფრო მეტია, ვიდრე პოლუსებთან. დედამიწის წრეწირი 39.900 კილომეტრია. ყველაზე უდიდესი მთის ქედების ზისქე იმდენად უმნიშვნელოა მთელი დედამიწის სისქესთან, როგორც ფორთოხლის ზედაპირზე დადებული ქაღალდის ფურცლის სისქე ფორთოხლის სისქესთან შედარებით.


ხინტირებს ვიცოდეთ, რა ხნისაა დედამიწა? მეცნიერებმა გამოიანგარიშეს, რომ დედამიწის ასაკი უდრის დაახლოებით 45 მილიარდ წელს.

როგორ ბაჩნდა მვანათში?

მრავალი მილიონი წლის წინად ზღვის ნაპირების მახლობლად მდებარე დაბლობ, ქაობიან ადგილებში თანდათან გროვდებოდა აუარებელი მცენარეული ნარჩენი. განვლო ხანა, და ზღვის ნაპირი ცოტათი დადაბლდა, სილამ და შლამმა ნელ-ნელა დაფარა ეს მცენარეული ნარჩენები. შემდგომ მრავალი საუკუნის განმავლობაში, ეს მცენარეები გაქვავდა და ქვანახშირად იქცა. ქვანახშირის ფენებში პოულობენ ფოთლების, ხეების ტანის კვალს და ზოგჯერ თესლსაც, მრავალი მილიონი წლის წინად რომ გაიკეთეს ამ მცენარეებმა.

როგორ ბაჩნდა ნანეთი?

ოღენდაც მთის ქანებში ჩაიხარ ხენ ცხოველნი, უმთავრესად კი თევზები, მოლუსკები და მიკროსკოპიული უმარტივეხი ორგანიზმები. აი, სწორედ მათგან განდა ნათი, რომელსაც, როგორც ვიცით, უდიდესი მნიშვნელობა აქვს კაცობირობისათვის.



ტურბინების დამამზადებელი ქარხანა

ბრტომ ფიქრობენ — კირჰმა ცოცხალი ორგანიზმების უმჯინილია?

მიკროსკოპიული ცხოველების ბევრ ჯგუფს აქვს თხელი გარეგანი ჩონჩხი, რომელიც კირის ნაწილებისაგან შესდგება, უმთავრესად კი ნახშირმჟავა კირისაგან. ბევრი ბაქტერიაც იღებს წყლიდან კირის მარილებს და იმით იკეთებს კირის თხელ ჩონჩხს. მთელი ეს კირი თანდათანობით იღექება ტბებისა და ზღვების ფსკერზე. გაღის მილიონი წლები, ეს კირი თანდათანობით გაქვავდება და კირქვად იქცევა. გეოლოგების აზრით, თითქმის მთელი კირქვა, რაც კი არის დედამიწაზე, ამრიგად წარმოიშვა, ცოცხალი ორგანიზმების მეშვეობით.

რომელ გეოლოგიურ ეპოქას ეკუთვნის დედამიწის მარჯში ორგანიული სიცოცხლის პირველი ნიშნები?

ორგანიული სიცოცხლის პირველ კვალს ვხვდებით იმ მთის ქანებში, რომელიც დაახლოებით 1.600.000.000 წლის არიან. ეს

არის უმარტივეს ორგანიზმთა ნარჩენები. სიცოცხლე, როგორც ეტყობა, ამ ხანით უნდა ჩასახულიყო დედამიწაზე.

როგორ გაქვავდება ხე?

თუ ხე ძალიან დიდხანს იქნება წყალში, ის გაიჟანგება წყალში გახსნილი მარილებით, განსაკუთრებით კი ე.წ. ქვარცით. მარილების სხვადასხვა სხნარი მთლად ერთობან გაუფადება ხეს, განდევნის მერქანის თითოეულ ნაწილსაც, რომლის ადგილს ქვარცი დაიჭერს. ამრიგად, ბოლოსა და ბოლოს მთელი ხე გაქვავდება.

რომელ გეოლოგიურ პერიოდს ეკუთვნის პლაზიანის პირველი კვალი?


ინგლისში მთის ქანებში ნახეს მეცნიერებმა უძველესი ადამიანის კვალი — ძვლები, კაფის იარაღები, კერა და სხვ. ეს მთის ქანები იმ გეოლოგიურ ეპოქას ეკუთვნის, რომელიც წინ უსწრობდა ყინულოვან პერიოდს და დაახლოებით მილიონი წლის წინად იყო. ამრიგად, მას შემდეგ, რაც ადამიანები დედამიწაზე არსებობენ, მილიონი წელი მაინც არის გასული.



რომელი ცხოველი ბაჩნდა პირველად ხელებში?

სილურიის პერიოდში, — ეს იყო 400.500 მილიონი წლის წინად, — ოკეანეში აუარებელი სხვადასხვაგვარი მორიელი ცხოველობდა; მაშინდელმა ერთმა სახის მორიელმა, რომელსაც წააგავს თანამედროვე მორიელი, თანდათან დაიწყო ხელებით სიარული, თანდათან დაიწყო ხელებით ცხოვრება.

როგორ ბაჩნდა, რამ ჩრდილო და სამხრეთ პოლუსებთან მდებარე ადგილებში ოღენდაც თხილი პავა იყო?

როგორც ვიცით, მეცნიერებს აინტერესებთ პოლუსების გამოკვლევა და ეწყობა ხოლმე პოლარული ექსპედიციები. ასეთ ექსპედიციების დროს გეოლოგებმა პოლუსებთან მდებარე ადგილებში მთის ქანებში იპოვნეს ისეთი მცენარეების კვალი, რომელთაც ცხელ შავიან ქვეყნებში ხარობენ. ცხადია, ოღენდაც ცხელი შავა ყოფილა პოლარულ ქვეყნებში.





1. ჩინეთში მდინარე იან-ცი-იზიანზე, ბლომად არის ინგლისის, ჩრ. ა. შ.შ., იაპონიის, საფრანგეთის და იტალიის სამხედრო გემები. ამ გემების მოვალეობაა — „დაიცვან“ თავისი ვაჭრები და მისიონერები. ინგლისს აქ ყველაზე უფრო ძლიერი ფლოტი აქვს. გემზე დიდი ზარბაზნებია. აქვეა მძლავრი გემი „აფის“.

2. ლეიტენანტი ფოქსი შვებულებიდან დაბრუნდა გემზე „აფის“ და თან ჩამოიყვანა ინგლისური ღორი

მთავრობის ჯარებს წითელ არმიასთან ბრძოლაში“.




6. „აფის“-მა ზარბაზნები დაუშინა წითლებს. საღამოს, როგორც იუწყებოდა „აფის“-ის უფროსი, „ჩან-შე“ განთავისუფლდა კომუნისტური სენისაგან“.

7. დაჭრილი კომუნარების დასახოცად და ქალაქში „მშვიდობიანობის“ დასამყარებლად“ „აფის“-მა დესანტი გადასხა ლეიტენანტ ფოქსის მეთაურობით.

ლმდე დახმარებაში, უფრო ჯენს მისჩერებოდენ, ვიდრე ინგლისელებს.

12. ჯენი მოკვდა სიმსუქნისაგან. ჩან-შას პროლეტარები მოუთმენლად ელოდენ იმ მომენტს, როდესაც მდინარეში გადაიძახებდენ „განსვენებულ“ ჯენს. „აფის“-ის შორი-ახლო დღე-ღამე უყარაულებდა ამ წამს რამდენიმე ათეული ნავი, რომლებშიც ისხდენ დამშეული ჩინელები.

13. მაგრამ ლეიტენანტმა ფოქსმა



„ჯენი“. გემზე მალე ყველამ შეიყვარა ჯენი.

3. ჯენი ყოველდღე მიირთმევდა ნაირ-ნაირ საჭმელს, ინგლისელი ოფიცრების საილიოს მონარჩენს, და ძალზე გასუქდა.

4. ცუდათ ებყრობოდენ ოფიცრები მეზღვაურებს. დაჯარიმებულ მეზღვაურებს უბრძანებდენ დაებანათ ჯენი და მოეწმინდათ მის მიერ დასვრილი ეროლო.

5. ერთ დღეს გემმა „აფის“ მიიღო ბრძანება: „დაუყოვნებლივ გაემგზავრეთ ჩან-შაში, რომ დაენმაროთ

8. ჯენი სოო სოჭდება და სუქდება...“

9. „აფისი“ თვის დამოღევამდე დარჩა ჩან-შაში. ჩინელები მიშვილობა გემთან მიიყვანა. როდესაც მზარეული ნასუფრალს გადმოყრიდა გემიდან, ჩინელები ერთმანეთს ებრძოდენ ყოველი ლუკმისათვის.

10. ლეიტენანტმა ფოქსმა ორდენი მიიღო. გაიმართა ქეიფი, და ჯენსაც ერგო შამპანიური.

11. ჯენი სახელობანტქმულია. ჩი-მოვიდენ „აფის“-ზე, რომ მადლობა გამოეტანებინათ წითლების წინა-

გადასწყვიტა — ჩემი საყვარელი ჯენი არ იყო იმის ღირსი, რომ ის ჩინელებმა შეჭმონო. ამიტომ მან უბრძანა მეზღვაურებს — რკინის ოთხი ზოდი მიეკრათ „განსვენებულისათვის“.

14. საღამოს რევოლვერები ესროლეს ჩინელების ნაგებს და „აფისი“-დან შორს განდევნეს ისინი; ღამით ჯენი ჩუმად ჩაუშვეს წყალში.

15. გადაჭრეს ბაწარი და, რადგან ჯენს რკინები ჰქონდა მიკრული, ის სწრაფად ჩაიძირა. ფოქსი გახარებული იყო: ჩინელებმა ვერ შესძლეს „საყვარელი ჯენის“ შეჭმა.

